პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 231 (10928) | კვირა, 29 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

მაღლა გვეჭიროს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა. — ე. ხარებავა. — ძმური ცხოვრების ასპარეზზე.

ზ. ჩილაჩავა. — ოქტომბრის რევოლუციის თანატოლი (1-ლი გვერდი).

შ. ჯავახაძე. — პოლიტიკური აგიტაცია მშენებელთა შორის (მე-2 გვერდი).

პ. ჭიოკაძე. — სწრაფად დავძლიოთ ჩამორჩენა მარგანეცის მრეწველობაში (მე-2 გვერდი).

ზ. მახარაძე. — თავდადებული მებრძოლი (მე-2 გვერდი).

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი აღმავლობისათვის (მე-3 და მე-4 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — საკოლმეურნეო გაზეთი (მე-3 გვერდი).

თ. კეშელავა. — [illegible] სიმინდზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# მაღლა გვეჭიროს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა

★ ★

## ლენინური მზრუნველობა და გულისხმიერება მშრომელთა საჭიროებებისადმი

დღითიდღე სულ უფრო ძლიერდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან, მტს-ებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან განუწყვეტლივ მოდის სასიხარულო ცნობები დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით გადაჭარბების შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბრწყინვალე შრომითი საჩუქრებით ეგებებიან დიად დღესასწაულს.

დიდი ოქტომბრის სახელოვანი მე-40 წლისთავისათვის მზადების დღეებში ბევრი რამ კეთდება მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში გაცხოველებით შენდება და დღესასწაულის წინადღეებში მშრომელებისათვის გადასაცემად მზად იქნება ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მწყობრში დგება ახალი სკოლები და კლუბ-სამკითხველოები, საავადმყოფოები და მაღაზიები, გაჰყავთ წყალსადენები და კეთილმოწყობილი ქუჩები, აწყობენ ახალ პარკებსა და ბაღებს.

ბრძოლა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყოველდღიური საზრუნავია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიული კომიტეტები კადრებს ზრდიდნენ პარტიისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ლენინური მზრუნველობისა და გულისხმიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ეხმარებოდნენ მათ ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ კავშირი მასებთან, პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა — ხალხის მსახურის მოვალეობა.

საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აღიზარდნენ მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებით ეპყრობიან მშრომელთა მოთხოვნილებებს. მაგრამ ამასთან ერთად ჯერ კიდევ არც ისე იშვიათია საბჭოთა ადამიანების საჭიროებებისადმი, მათი განცხადებებისა და საჩივრებისადმი ბიუროკრატიული, უსულგულო, კანცელარიული დამოკიდებულების ფაქტები. პარტიული ორგანიზაციები კი ბევრ შემთხვევაში გვერდს უვლიან და ჯეროვან პასუხს არ სთხოვენ იმ „ვაი-ხელმძღვანელებს", რომლებიც საქმით კომუნისტურის ნაცვლად ბიუროკრატიულ, კანცელარიულ პოლიტიკას ახორციელებენ, რითაც ზიანს აყენებენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ავტორიტეტს.

მშრომელთა საქმიანი წინადადებები, განცხადებები და შენიშვნები, რომლებშიც სწორად არის გაკრიტიკებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ხარვეზები და ნაკლოვანებები, მასების აქტივობისა და ინიციატივის ზრდის ერთერთი საუკეთესო გამოხატულებაა. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან მისწრაფებით, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა და ნაკლი იყოს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში, რომ უფრო კარგად და გამართულად მუშაობდნენ სავაჭრო დაწესებულებები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ორგანიზაციები. ყოველივე ამის შესახებ მშრომელები მიმართავენ წერილებითა და განცხადებებით პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, ათავსებენ შენიშვნებს პრესაში.

საჭიროა მთელი პასუხისმგებლობით, ნამდვილი ლენინური მზრუნველობით და გულისხმიერებით ვეპყრობოდეთ მშრომელთა შენიშვნებსა და წინადადებებს, დროულად განვიხილავდეთ მათს განცხადებებსა და წერილებს, სწრაფად ვიღებდეთ ზომებს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ხელმძღვანელი, რომელიც უყურადღებოდ და უსულგულოდ ეპყრობა მშრომელთა მოთხოვნილებებს, ამით ახშობს და გზას ულობავს კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, ადუნებს მასების აქტივობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ადგილებზე ყოველთვის უნარიანად როდი იყენებენ ამ უდიდეს შესაძლებლობებს, რის გამო სერიოზული ნაკლოვანებებია სავაჭრო მაღაზიებისა და პურის საცხობების მუშაობაში, მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულითა და სხვა სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო და მისი დარგობრივი სამმართველოები, რომლებსაც თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მრეწველობის განვითარებაში, ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას როდი აქცევენ მაღალხარისხოვანი სასურსათო საქონლის, კერძოდ, ხორცის, რძისა და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის გამოშვებისათვის ბრძოლას.

არის ფაქტები, როცა თვეობით ჭიანურდება მშრომელთა წერილების განხილვა, მათი სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად კარგა ხნის წინათ გადაწყდა საბურთალოში აიგოს ახალი სასკოლო შენობა, მაგრამ ექვსი თვე გადის და თბილისის საქალაქო საბჭოს არქიტექტორმა აქამდე ვერ შეძლო გამოეყო ნაკვეთი სასკოლო შენობის ასაგებად.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და დაბაში სრულად ვერ ითვისებენ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღების, სავაჭრო და კომუნალური საწარმოების მშენებლობისათვის გამოყოფილ თანხებს, ცუდად წარმოებს საცხოვრებელი ბინების შეკეთება. ეს იმიტომ ხდება, რომ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი უსულგულო და უყურადღებო დამოკიდებულებას იჩენს მშრომელთა საჭიროებებისადმი, ხოლო პარტიული ორგანიზაციები ასეთ ხელმძღვანელს არ მოუწოდებენ წესრიგისაკენ, დროზე არ უსწორებენ შეცდომას.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ბრძოლა მშრომელთა საჭიროებებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების წინააღმდეგ. მათ მტკიცედ უნდა აიღონ თავიანთ ხელში იმის შემოწმება, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენს საბჭოთა აპარატში — სამინისტროებსა და სამმართველოებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსა და მათს განყოფილებებში — მშრომელთა განცხადებების მიღება, განხილვა და როგორია მათზე გამოხმაურება. ეს ერთდროული კამპანია როდია, არამედ პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური საზრუნავი საქმეა. ყოველგვარი დაუდევრობა და უყურადღებობა ამ საქმეში მთელი სისასტიკით უნდა ვამხილოთ, ხოლო ბიუროკრატიზმის სენით დაავადებული ადამიანები სამაგალითოდ დავსაჯოთ.

ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავამახვილოთ და გავაძლიეროთ ყურადღება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებებისადმი, მათი წერილებისა და განცხადებებისადმი, საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნებისადმი. ეს ხელს შეუწყობს პარტიის კავშირის შემდგომ განმტკიცებას მასებთან, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ახალ მძლავრ აღმავლობას და ამ საფუძველზე პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაცია

27 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა.

გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა ა. ი. მიქოიანმა და მ. ა. სუსლოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. პოსპელოვმა და იაპონიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა ამხანაგებმა ტეცუ კატაიამამ, ტადაკატა სატამ, კაცუძირო ნაგაიმ, სიცირო მაცუმოტომ, ოოიცი იამატომ, ეიტარო ნაკაიმ, იუძო ავაიამ და ტისატო ტატებაიასიმ (დელეგაციის მდივანი). საუბარს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აკადემიკოსი მ. ბ. მიტინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები დ. პ. შევლიაგინი და ვ. ვ. კოვიჟენკო.

საუბრის დროს, რომელიც ამხანაგურ, გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც დელეგაციას აინტერესებს, და დელეგაციის შემდგომი მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებისა და წარმატებათა გასაცნობად. (საქდესი).

★

## მეტალურგები საოქტომბრო ვახტზე

რუსთავი. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მებრძმედეები რიტმულად მუშაობენ. ამას ხელს უწყობს პროგრესული ტექნიკა, შრომის ყველა პროცესის მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ლითონის გამოდნობის ახალი ტექნოლოგიის გამოყენება. გაუმჯობესებულია წიდასაყრელი, ჩამოსასხმელი მანქანების მდგომარეობა, უზრუნველყოფილია ბერვის საჭირო რაოდენობა ორი ჰაერსაბერი მანქანის ერთ ღუმელზე გადაყვანის გზით.

დიდ წარმატებებს აღწევენ მუშაობაში ახალგაზრდა მებრძმედეები ქ. პარასტაშვილი, ქ. კანდიაშვილი, ნ. სივაჩუკი და სხვები.

მებრძმედეებს არ ჩამორჩებიან მეფოლადეები. თვის დამდეგიდან აქ გამოშვებულია 700 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ლითონი. ახალგაზრდა მეფოლადე ი. ნასყიდაშვილი ყოველ მეორე ნადნობს ჩქაროსნული მეთოდით უშვებს.

ჩამორჩენას აღმოფხვრიან საგლინავი და მილსაგლინავი საამქროების კოლექტივები. მილმგლინავები თვის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. (საქდესი).

## 1960 წლის ანგარიშში

ჩვენი ქარხნის საამქროებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. მონაწილეობს რა დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენი საწარმოს კოლექტივი განუწყვეტლივ აუმჯობესებს ტექნოლოგიას, ახდენს წარმოების მექანიზაციას, ადიდებს მანქანების გამოშვებას ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობის საწარმოებისათვის. გადაჭარბებით შეასრულეს რა რვა თვის პროგრამა, მანქანათმშენებლებმა ოცზე მეტი სახელწოდების ორი ათასამდე სხვადასხვა მანქანა და აგრეგატი მისცეს ჩვენს ქვეყანას. თითქმის მთელი ამ მანქანების წარმოება დამთავრდა ჩვენს ასაწყობ საამქროში. საამქროს კოლექტივი უკვე ოთხი თვეა ინარჩუნებს ქარხნის გარდამავალ წითელ დროშას.

ცვლის დავალებათა შესრულება ჩვენთან 240 და მეტ პროცენტს აღწევს. ბრიგადის თვითეულმა წევრმა წელს უკვე შეასრულა 20 პირადი თვიური ნორმა და, თუ მხედველობაში მივიღებთ ბრიგადის ყველა მიღწევას მეექვსე ხუთწლედის დაწყებიდან, გამოდის, რომ ჩვენ 1960 წლის ანგარიშში ვმუშაობთ.

**ს. პოვერინოვი,**
ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი.

★ ★ ★

## ოქტომბრის რევოლუციის თანატოლი

— ბიჭო, ალიოშა, შენს გაზრდას, თოხი მომიპირე, ხვალ ალიონზე სათოხარში ვარ წასასვლელი.

ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭუნამ ისლით გადახურული სახლიდან რელსის ნაჭერი გამოათრია, მერე ჩაქუჩი და ქლიბიც გამოიტანა და კაკლის ხის ჩრდილში თოხის ტარზე ჩამომჯდარ ქალარა კაცს მიუბრუნდა:

— თქვენ წაბრძანდით, საქმე გექნებათ, ამას კი მოვპირავ და მე თვითონ ჩამოგირბენინებთ.

— გაეზარდე დედაშენს, შვილო, საწყალმა ნესტორმა რევოლუციას შესწირა თავი, სამაგიეროდ ისეთი ბიჭი დატოვა, რომ დაქცეულ ოჯახს არაფერს გაუჭირვებს, — ჩაილაპარაკა ესტატემ და ჭიშკრისაკენ გაემართა.

გაჭირვების ტალკვესს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო ალექსანდრე მარგველაშვილი სოფელ ნაგარევის გლეხებისათვის. თუ ვინმეს ბლაგვი ცელი, ნამგალი ან თოხი ჰქონდა, მასთან მიარბენინებდა გასალესად. გაფუჭებული ბოქლომები და გასაღებებიც ბლომად ელაგა პატარა ზეინკლის „სახელოსნოში", იგი არავის ამადლიდა თავის შრომას და ამიტომაც მთელ სოფელს უყვარდა.

— ამ ბავშვს პატრონი რომ ჰყავდეს, რკინის კარგი მოხელე დადგებაო, — ამბობდნენ მოხუცები. აკი გაუმართლდათ წინასწარმეტყველება.

თხუთმეტი წლისა იყო ალექსანდრე, როდესაც ბიძამისმა, არკადი მარგველაშვილმა, ქალაქში ჩაიყვანა და ინდუსტრიული ტექნიკუმის სახელოსნოში მიაბარა.

თვალცრემლიანმა დედამ თავისი პირმშო სოფლის ბოლომდე გააცილა, გამომშვიდობებისას გადაკოცნა და გზა დაულოცა.

ტექნიკუმის სახელოსნოში ალიოშა გამოცდილ ხარატ დგებუაძეს მიაბარეს. ხარატობის შესწავლა მაშინ ადვილი როდი იყო. ჩარხს ახლო არ მიგაკარებდნენ, თუ ჯერ მჭედლობა და ზეინკლობა კარგად არ გეცოდინებოდა. ხარატი თვითონ აწრთობდა, ქლიბავდა და ლესავდა უბრალო ფოლადს, რომ შემდეგ საჭრისად გამოეყენებინა. ჩარხი რომ დაზიანებული-, ყო, ისიც თვითონ უნდა შეეკეთებინა, ამიტომაც იყო საჭირო ხარატისათვის მჭედლობა და ზეინკლობა სცოდნოდა.

ჭაბუკი მუყაითად შრომობდა. ყველას აკვირვებდა საზრიანობით. დგებუაძეს საკუთარი შვილივით შეუყვარდა ალექსანდრე. ყველაფერს დაწვრილებით უხსნიდა. ცდილობდა ნიჭიერი ყმაწვილისაგან საუკეთესო ხელოსანი გამოეყვანა.

ორი წლის შემდეგ ალექსანდრე უკვე მესამე თანრიგის ხარატად მუშაობდა სახელოსნოში. მას მხოლოდ მარტივი დეტალების გამოჩარხვა ევალებოდა, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რთულ დეტალებს ამუშავებდა, რომ მის აღმზრდელსაც გაუჭირდებოდა მათი გაკეთება.

— ეს ბიჭი ხარატად არის დაბადებული. მგონი მალე მეც მაჯობოს, — იტყოდა ხოლმე ამაყად თავის გაზრდილზე დგებუაძე. და არც ტყუოდა. 18 წლის ალექსანდრე უკვე სავსებით დაეუფლა ხარატობას.

ამ დროს მაიაკოვსკის რაიონში ახალი მეურნეობა ჩამოყალიბდა და ალექსანდრე როგორც კარგი ხარატი იქ გადაიყვანეს სამუშაოდ. დიდხანს არც იქ დარჩენილა, რადგან მისი ოცნება იყო დიდ ქარხანაში მუშაობა. სწორედ ამიტომ იგი თბილისში ჩამოვიდა და იმ დროს დედაქალაქის ყველაზე დიდ საწარმოში, სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელ ქარხანაში ითხოვა სამუშაო.



ქარხნის დირექტორმა იგი მექანიკური საამქროს უფროსს ჩააბარა და თან დაურთო:

— ეს ახალგაზრდა ამბობს, ხარატი ვარო. აბა ერთი შენებურად გამოსცადე, თუ მართლა რამე გაეგება, შენთანვე დაიტოვე. ჭაღარა ოსტატმა თავით ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა ჭაბუკი, მოეწონა მისი მოხდენილი ტანი, ღია ცისფერი თვალები, მტკიცე ნებისყოფის გამომხატველი განიერი ნიკაპი, კუნთებიანი მკლავები და გულში გაიფიქრა:

— ამ მკლავების პატრონი ხარატი თუ არა, ზეინკალი მაინც უნდა იყოს.

მარგველაშვილს გამოსაცდელად წყლის საზომი ონკანის გამოჩარხვა დაავალეს. ჭაბუკმა მოცემულ დროზე ადრე დაამთავრა სამუშაო და სუფთა ნახელავი ოსტატს მიართვა. ხანდაზმული ოსტატი არ მოელოდა ჭაბუკის ასეთ წარმატებას, სიხარულისაგან სახე გაებადრა. მხარზე ხელი დაარტყა, ნახელავი მოუწონა და წარმატებები უსურვა.

იმავე დღეს ჩააბარეს ალექსანდრე მარგველაშვილს სახარატო ჩარხი და მეხუთე თანრიგის ხარატის წოდება მიაკუთვნეს.

ჭაბუკმა ამ დ-იდან შვილივით შეიყვარა რკინის მანქანა. ბავშვივით უვლის და თავს დასტრიალებს, ზეთავს, ზედმეტი მუშაობით არასოდეს გადაღლის, ყველა სატკივარს დახელოვნებული დოსტაქარივით უგებს და მაშინვე ჰკურნავს.

მანქანა ხომ რკინისაა, მაგრამ იმასაც სცოდნია სამაგიეროს გადახდა. ბევრი სიხარული და ბედნიერება მოუტანა ჩარხმა ალექსანდრე მარგველაშვილს. ჯერ კიდევ სტახანოვური მოძრაობის დასაწყისში იგი ჯიბის საათით დააჯილდოვეს, როგორც საუკეთესო ხარატი. მერე კი ვინ მოთვლის რა ჯილდო და საჩუქარი არ მიუღია, მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი მისი სახელი, როგორც ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრის ოსტატისა. მრავალი წერილი მოსდის სხვადასხვა ქალაქიდან. ბევრს აინტერესებს მისი მუშაობის მეთოდი, და ისიც სიამოვნებით უზიარებს თავის გამოცდილებას რუს, უკრაინელ, ბელორუს და აზერბაიჯანელ თანამოძმეებს. მის ქარხანაში კი შექმნილია სპეციალური წრე, სადაც ჭაბუკი ხარატები ალექსანდრე მარგველაშვილის ჩქაროსნული მუშაობის მეთოდებს ეცნობიან.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ალექსანდრე მარგველაშვილს ბევრი ახალგაზრდა, საუკეთესო ხარატი აღუზრდია.

ალექსანდრე უკვე ორმოც წელს აღწევს. იგი ოქტომბრის რევოლუციის თანატოლია. ამიტომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის აღსანიშნავად განსაკუთრებული ვალდებულება იკისრა — ერთ წელიწადში ოთხი წლის გეგმა შეასრულოს.

ჩქაროსანი ხარატის სიტყვა და საქმე ერთია. მას მტკიცედ სწამს: იტყვი, გააკეთე! და აი იგი 1960 წლის ანგარიშში მუშაობს.

როგორ აღწევს ყოველივე ამას მარგველაშვილი?

იგი ყოველთვის ადრე მოდის ქარხანაში, ზეთავს, ასუფთავებს ჩარხს, ამოწმებს, საკმარისი რაოდენობით აქვს თუ არა დასამუშავებელი დეტალები, რომ დღესაც 400 პროცენტით შეასრულოს გეგმა. სინჯავს, ვარგა თუ არა მჭრელები, შემდეგ ჩართავს ჩარხს — ექიმივით უგდებს ყურს მის მუშაობას.

...ხუთი საათია. ქარხნის საყვირმა მუშებს სამუშაო დღის დამთავრება აუწყა. მიწყდა ამწეების, ჩარხებისა და სხვა მანქანების გუგუნი. ალექსანდრეს მანქანაც დადუმდა. ხარატმა ბოლოს გაჩარხული დეტალი მოხსნა მანქანიდან.

— ესეც ასე, პირობა ვადამდეა შესრულებული. ხვალიდან 1961 წლის ანგარიშზე გადავდივარ, — გაიფიქრა მან და დინჯად შეიწმინდა ხელი ტილოზე.

**ზ. ჩილაჩავა.**

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ა. მარგველაშვილი მუშაობის დროს.

## დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები

საუკეთესო შრომითი მიღწევებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის მოახლოებას ხაშურის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი.

დეპოელებმა ელექტრომავლების სადღეღამისო გარბენის გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ორთქლმავლებისა — 107,5 პროცენტით. ლოკომოტივების ტექნიკური სიჩქარე გაზრდილია 13 პროცენტით, სურამის უღელტეხილზე გადაყვანილია მძიმე წონის 2.190 მატარებელი.

საამქროთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა დამხმარე საამქროს კოლექტივი, რომელმაც საწარმოო გეგმა 138 პროცენტით შეასრულა.

მძიმე წონის მატარებლების გადაყვანაში თავი ისახელეს მემანქანეებმა ი. ლაბაძემ, დ. გასიშვილმა, ვ. გერჩენოვმა, თ. გოსტიევმა და ლ. მანჯავიძემ.

**გ. ნოზაძე,**
ხაშურის სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

★



გასულ წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, კომკავშირელები გ. გუგუტიშვილი და ნ. მოროზოვა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მივიდნენ სამუშაოდ მოწაფეებად. გავიდა ერთი წელიწადი და გუშინდელი მოსწავლეები კვალიფიციური ხელოსნები გახდნენ. მათ მალე აითვისეს ტექნიკა და შეიყვარეს თავიანთი პროფესია: გ. გუგუტიშვილი საპენტავ მანქანას მართავს, ხოლო ნ. მოროზოვა გადასახვევს. ახალგაზრდა მუშები თავიანთ დღიურ ნორმებს 180-200 პროცენტით ანაღდებენ. ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ახალგაზრდა მუშები ძ. გუგუტიშვილი (მარჯვნივ) და ნ. მოროზოვა.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა და გ. კოკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ძ მ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ს პ ა რ ე ზ ზ ე

## საზღვრისპირა სოფლებში

12 წლის წინათ თერჯოლის რაიონის მწირმიწიანი სოფლიდან კოლმეურნეები გადმოსახლდნენ ასპინძის რაიონის სოფელ ოშორაში. მაშინ ისინი ძველ მესხურ მიწურებში მოთავსდნენ. სოფელი კეთილმოუწყობელი იყო.

ახლა ოშორა მოწინავე საკოლმეურნეო სოფელია. მნახველის თვალს იტაცებს ხეხილის ბაღებში ჩაფლული ლამაზი ოდა-სახლები, კოლმეურნეობის ახალი კანტორა, მაღაზია, სამედიცინო პუნქტის შენობა. გაიყვანეს ელექტრობა, რადიო.

სოფლის საშუალო სკოლაში ასობით ახალგაზრდა სწავლობს. მათს სწავლა-აღზრდას ამ სოფლის მკვიდრი 12 მასწავლებელი ემსახურება.

როცა კოლმეურნე დავით ქვათაძე ოშორაში დასახლდა, 5 მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა. მას შემდეგ განვლო წლებმა. დავითის ქალიშვილმა თინამ სოფელ ოშორაში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, სწავლა განაგრძო გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ახლა თავის სოფლის სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მისი და ლილი გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია, ძმა სანდრო ახლახან დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და აქტიურ საკოლმეურნეო შრომაში ჩაება, მეორე ძმა გიგა თბილისის კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანაში მუშაობს ზეინკლად.

— დავითი კარგი ოჯახის პატრონი და სამაგალითო კოლმეურნეა, — აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოთარ დანელია, — მაგრამ იგი ერთადერთი არ არის. ასეთი მრავალი გვყავს. დავითისთანა ბეჯითი ადამიანების შრომით საკოლმეურნეო სოფელი სწრაფად წავიდა წინ. დავითსა და მის მეუღლეს თამარს ხბოების მოვლა-პატრონობა მივანდეთ. მოსავლელად მიუჩინეთ 78 სული ხბო. მათ დაუზარელი შრომით საუკეთესო მეხბორის სახელი მოიხვეჭეს.

ხბოების სწრაფად გაზრდა მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. წესიერი გაზრდა უზრუნველყოფს მოზარდის შენარჩუნებას და მისგან მაღალპროდუქტიული ცხოველის მიღებას.

როგორც თავმჯდომარე ამბობს, ოშორელ კოლმეურნეთა ბეჯითი შრომის სახელმა მეზობელ რაიონამდეც მიაღწია.

ახალციხის რაიონის სოფელ ქვემო სხვილისის კოლმეურნეებმა განიზრახეს მეგობრული ურთიერთობის დამყარება ოშორელებთან. ქვემო სხვილისში მცხოვრებმა სომეხმა კოლმეურნეებმა წინადადებით მიმართეს მეზობელი რაიონის სოფლის ქართველ კოლმეურნეებს გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

ოშორელებმა ხალისით მიიღეს მეგობართა გამოწვევა და გაჩაღდა ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ეს იყო მიმდინარე წლის ივნისში. მაშინ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი ფერმებში გეგმაზე ნაკლები ჰყავდათ. ამ ნაკლის გამოსწორებას ვალდებულება 1 ოქტომბრამდე ითვალისწინებდა. საქმე კი უფრო ადრე მოგვარდა. 1 სექტემბრისათვის გეგმაზე მეტი ჰყავდათ ძროხა, ცხვარი, ღორი. ასევე გადამეტებით შესრულებულია პირუტყვის საკვების დამზადების და ბინათმშენებლობის სოციალისტური ვალდებულებანი.

გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა. იალაღებზე ააგეს მწყემსთა საცხოვრებელი ბინები, შემოიღეს პირუტყვის სადღეღამისო ძოვება. ამ ღონისძიებების განხორციელებით იმატა ძროხების წველადობამ. თუ შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.051 კილოგრამი რძე მოწველეს, წელს ვადაზე 4 თვით ადრე საშუალოდ მიღებულია 1.090 კილოგრამი რძე. წლის ბოლომდე საშუალო წველადობას 1.400 კილოგრამამდე აიყვანენ.

ბაგური კვების პერიოდისათვის ითვალისწინებენ მეწველ პირუტყვს დღეში მისცენ 4 კილოგრამი თივა, 5 კილოგრამი ჩალა, 3,5 კილოგრამი წვნიანი საკვები, 3 კილოგრამი ქატო.

იმატა სახელოვან მეცხოველეთა რიცხვმა. ამ მხრივ დამახასიათებელია მწველავ ქ. სახელაშვილის მაგალითი.

— ქვემოსხვილისელ კოლმეურნეებს მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ, — ამბობს ქ. სახელაშვილი. მათთან დამეგობრება დიდ დახმარებას გამიწევს. ვიყავი მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, აქ გავეცანი მუშაობის პროგრესულ ხერხებსა და მეთოდებს. გასულ წელს 9 ძროხას ვუვლიდი. საშუალოდ თვითეულზე მივიღე 1.437 კილოგრამი რძე. წელს კი 1.500 კილოგრამის მიღებას ვითვალისწინებ.

ჩვენ ვეჯიბრებით სხვილისელებს და ვცდილობთ გამარჯვებული გამოვიდეთ ამ შეჯიბრებაში.

იქ, სადაც რევოლუციამდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა კინკლაობისა და ჩხუბის სარბიელი იყო, ახლა ქართველი და სომეხი კოლმეურნეები მეგობრულად ცხოვრობენ, ერთი მიზნით იბრძვიან და ქმნიან საკოლმეურნეო შრომის ბარაქას.

**ე. ხარებავა,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი

## პარტიული ცხოვრება

# პოლიტიკური აგიტაცია მშენებელთა შორის

ქუთაისელ მშენებელთა შორის მოწინავეა მეოთხე საერთო-სამშენებლო ტრესტის მეოთხე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ რიტმულად, გრაფიკის მტკიცედ დაცვით მუშაობს და ახალ შრომითს წარმატებებს აღწევს. სამმართველოს კოლექტივმა რვა თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 10 თვის გეგმა შეასრულა. ამავე პერიოდში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 18,5 პროცენტით, ხოლო მშენებლობის თვითღირებულება შემცირდა 4,2 პროცენტით. მშენებლებმა სახელმწიფოს 364 ათასი მანეთი დაგროვება მისცეს.

ამ წარმატებათა მოპოვებას დიდად შეუწყო ხელი მშენებელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ. სამშენებლო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი გ. ჩხეიძე) ფართოდ იყენებს პოლიტიკურ აგიტაციას, როგორც კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად მშენებელთა დარაზმვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. პოლიტიკური მუშაობის ცენტრი გადატანილია უშუალოდ ობიექტებზე, მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე. 20 აგიტატორიდან ცხრამეტი მუშაობს იქ, სადაც გაჩაღებულია თავდადებული შრომა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ აგიტატორებად შერჩეული არიან მშენებლობის მოწინავე ადამიანები, ინჟინერ-ტექნიკოსები, სამუშაოთა მწარმოებლები, ბრიგადირები, ოსტატები, რომლებსაც პოლიტიკურ მომზადებასთან ერთად, სამშენებლო საქმის მდიდარი გამოცდილებაც აქვთ.

ეყრდნობა რა აგიტატორებს, როგორც თავის აქტიურ თანაშემწეებს, პარტიული ორგანიზაცია უნარიანად წარმართავს მათს მუშაობას, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს პოლიტიკური აგიტაციის იდეური შინაარსის გაუმჯობესებისათვის. პარტიული ორგანიზაცია, აგიტკოლექტივი, აგიტატორები მშენებელთა შორის სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელების ორგანიზატორები არიან. დურგალთა ბრიგადირი ა. გალუშკო და მლესავთა ბრიგადირი ვ. კოჩაძე მთელ კოლექტივში გამოირჩევიან როგორც თავიანთი საქმის ჩინებული ოსტატები და მოწინავე მშენებლები. ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალ შენობას დიდებული კარ-ფანჯრები რომ ამშვენებს, ეს ა. გალუშკოს დურგალთა ბრიგადის ნახელავია.

— როცა ადგილზე ასეთი მოწინავე ადამიანები გვყავს, კარგი იქნება მათი მუშაობის მეთოდები სხვებსაც შევასწავლოთ. მართალია, ჩვენი სამმართველოს მშენებლები სხვადასხვა ობიექტებზე მუშაობენ, მაგრამ ხომ შეიძლება ისინი ჩვენთან, ქალაქის ცენტრალური სტადიონის მშენებლობაზე მოვიყვანოთ და პრაქტიკულად ვუჩვენოთ მშენებლობის მოწინავე მეთოდები, — ასე დააყენა საკითხი პარტორგანიზაციის წინაშე კომუნისტმა აგიტატორმა ი. მელიამ.

პარტიულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა აგიტატორის ამ ინიციატივას. აგიტკოლექტივის მორიგი სემინარი დურგალთა ბრიგადირ ა. გალუშკოსა და მლესავთა ბრიგადირ ვ. კოჩაძის გამოცდილების შესწავლა-გავრცელების საკითხს მიეძღვნა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ერთ დღეს ახალი სტადიონის მშენებლობაზე მომუშავე ა. გალუშკოს ბრიგადას მთელი შემადგენლობით ეწვია ტრესტის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მომუშავე დურგალთა ბრიგადა ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. შრომის სწორი ორგანიზაცია, მასალების ეკონომიურად ხარჯვა, შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხი და მშენებლობის სწრაფი ტემპი, — ყოველივე ეს, რასაც ა. გალუშკოს ბრიგადაში აღწევდნენ, უკვე ხელშესახები და მისაწვდომი გახდა ნ. ნიკოლაძის ბრიგადის წევრებისათვის. ახლა ამ ბრიგადიდან ყოველი დურგალი სამუშაოს მხოლოდ „კარგზე" და „ფრიადზე" აბარებს, ხოლო მთლიანად ნ. ნიკოლაძის ბრიგადამ რვა თვის დავალება დიდი გადამეტებით — თითქმის ორმაგად შეასრულა.

32-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ერთხანს ჩამორჩებოდა. ტრესტის საწარმოო კომბინატი დროულად ვერ უზრუნველყოფდა მშენებლებს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით, განსაკუთრებით კი სართულშუა გადახურვისათვის საჭირო მრავალღრუიანი რკინაბეტონის პანელებით. აგიტატორებმა — ოსტატმა ა. კაჭარავამ, სამუშაოთა მწარმოებელმა გ. კორმუშკოვმა და კოშკურა ამწის მემანქანემ მ. სადოვენკომ ეს საკითხი პარტბიუროს წინაშე დააყენეს. თავის მხრივ პარტბიურომ სამმართველოსა და ტრესტის სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად რის შედეგადაც გაუმჯობესდა მასალებით მომარაგება, დაჩქარდა მშენებლობის ტემპი.

როცა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მასალებით მომარაგების საკითხი გადაწყდა, აგიტატორებმა მშენებელთა ყურადღება გაამახვილეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე, მასალების ეკონომიურად ხარჯვაზე. დურგალთა ბრიგადაში დაუდევრად ეკიდებოდნენ ხე-ტყის მასალის ხარჯვას, რაც საბოლოო ანგარიშში მშენებლობის გაძვირებას იწვევდა. აგიტატორებმა ამას ყურადღება მიაქციეს და მშენებლებთან გამართეს საუბრები თემებზე: „თვითღირებულების შემცირების გზები მშენებლობაზე", „ეკონომიურად ვხარჯოთ მასალები" და სხვ. ამ საუბრებზე თვით მშენებლებმა წამოაყენეს ძვირფასი წინადადებები მშენებლობის გაიაფებისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის. ახლა დურგალთა ბრიგადაში მასალები ეკონომიურად იხარჯება და დანაკარგები მინიმუმამდეა დაყვანილი. წინათ მებეტონე შ. გულიკაშვილი და დურგალი ვ. ხეცურიანი საწარმოო დავალებებს ვერ ასრულებდნენ. აგიტატორ გ. კორმუშკოვის ჩარევით ისინი კვალიფიციურ ოსტატებს მიამაგრეს, რამაც ხელი შეუწყო მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ახლა თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას 150-160 პროცენტით ასრულებს.

აგიტატორებს მცირე წვლილი როდი მიუძღვით იმაში, რომ ახლა თითქმის ყველა მშენებელი გადამეტებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს და ნაკისრ ვალდებულებებს. სოციალისტური შეჯიბრების დაფაზე აღნიშნულია, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრმა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. კნიაზევმა შვიდი თვის დავალება 205 პროცენტით შეასრულა, კომკავშირელმა კალატოზმა ჟ. ოსიპოვმა — 132 პროცენტით, უპარტიო დურგალმა გ. გიორგაძემ — 171,1 პროცენტით და სხვ.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მშენებლობის ტემპი ერთიორად დაჩქარდა. როცა მშენებლებს აგიტატორებმა საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილება გააცნეს, მათ იკისრეს წელსვე მობინადრეთა შესასახლებლად გადასცენ 32-ბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაწილი 700 კვადრატული მეტრი ფართობით, ხოლო სახლის საბოლოო მშენებლობა მომავალი წლის 1 მაისისათვის დაამთავრონ.

მოწინავე მშენებელთა ინიციატივას მხურვალედ დაუჭირეს მხარი როგორც ბინათმშენებლებმა, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლებმა. სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცა სატყეო ტექნიკუმის სტუდენტთა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, იკისრა 7 ნოემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს მედიცინის მუშაკთა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და ტროლეიბუსების პარკი.

აგიტატორები ი. კოლუაშვილი, ა. ლანჩავა, ნ. ჯიქია, ნ. ქობულია, გ. ცნობილაძე და სხვები, რომლებიც ქალაქის ახალი კინოთეატრის, ტროლეიბუსების პარკის, პოლიგრაფიული კომბინატის, ახალი საავადმყოფოსა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე მუშაობენ, მიმზიდველად და საინტერესოდ აწყობენ საუბრებს, მშენებლებს აცნობენ პარტიისა და მთავრობის მიერ მშენებელთა წინაშე დასახულ ამოცანებს, რაზმავენ მათ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის საბრძოლველად.

ამ წარმატებებთან ერთად მეოთხე სამშენებლო სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციის საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ნაკლოვანებებიც აქვს. ზოგიერთ სამშენებლო ობიექტზე სრულებით არ არის ლოზუნგები და პლაკატები. მოწყობილი არ არის მშენებელთა საქმიანობის ამსახველი დიაგრამები, სტენდები, იშვიათად გამოდის „ელვა" ფურცლები.

ამჟამად მშენებლობაზე ბევრი სამუშაოა აგიტატორებისათვის. მათი მოვალეობაა დარაზმონ მშენებლები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დროულად, იაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციამ შემდგომ უნდა აამაღლოს პოლიტიკური აგიტაციის იდეური დონე, სათავეში ჩაუდგეს მშენებელთა შრომითს აღმავლობას და წარმართოს იგი პარტიის მიერ დასახული საერთო-სახალხო ამოცანის — მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## კედლის გაზეთის მუშაობის საკითხი რაიკომის ბიუროზე

ამას წინათ პარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ სეფიეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის მუშაობის საკითხი.

ბიუროზე აღინიშნა, რომ კედლის გაზეთმა „განახლებულმა ცხოვრებამ" უკანასკნელ ხანებში გააუმჯობესა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ცალკეული საკითხის გაშუქება. თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდება მასალები ხორცისა და რძის წარმოების გადიდების შესახებ.

ბიუროზე აღინიშნა, რომ კედლის გაზეთის მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც: არ შუქდება ღორების გასუქების, პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიმდინარეობის საკითხები. პარტბიურო და გამგეობა ხშირად ეხმაურებიან გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს. სუსტია პარტბიუროს ხელმძღვანელობა და დახმარება კედლის გაზეთისადმი.

რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კედლის გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ი. თოფურია.

## დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია

ამ დღეებში თბილისის მასწავლებლის სახლში პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა და მასწავლებლის სახლის გამგეობამ მოაწყეს თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი თემაზე — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხები".

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს 43-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელმა ი. დანდუროვამ — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საბჭოთა სისტემის წარმოშობა", 47-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ბ. კანდელაკმა — „კომუნისტური აღზრდა და მისი განხორციელების გზები საბჭოთა სკოლაში", 42-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ქ. ტუსკიამ — „მარქსიზმ-ლენინიზმი პოლიტექნიკური სწავლების შესახებ და მისი განხორციელების საშუალებები", 41-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ გ. კალანტაროვმა — „საბჭოთა სკოლა მეექვსე ხუთწლედში".

კამათში მონაწილეობა მიიღეს 43-ე საშუალო სკოლის დირექტორმა გ. კორსაველმა, 102-ე საბავშვო ბაღის გამგემ ქ. კაკუშაძემ, 45-ე საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ვაისმანმა, კალინინის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ა. კალატოზიშვილმა. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის მდივანმა ი. კაპანაძემ.

## სამშობლოს დამცველთა რიგებში

### თბილისის კიროვის რაიონის გამწვევ პუნქტში

დიდი გამოცოცხლებაა საქართველოს სარეწაო საბჭოს კულტურის სახლში. აქ კიროვის რაიონის სამხედრო კომისარიატის გამწვევი პუნქტია.

წვევამდელები ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ იყვნენ აღრიცხვაზე აყვანილი, მათთან რეგულარულად ეწყობოდა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, ოფიცრები წვევამდელებს განუმარტავდნენ თუ რა წესით გადიან სამხედრო სამსახურს საბჭოთა არმიაში, ესაუბრებოდნენ სამხედრო დისციპლინის შესახებ.

აგიტპუნქტის გრძელ მაგიდაზე წვევამდელებისათვის გამოფენილია უამრავი სპეციალური ლიტერატურა. ყურადღებას იქცევს ლამაზ ჩარჩოში ჩასმული „საბრძოლო ფურცლები", რომლებსაც თვითონ წვევამდელები უშვებენ. თითო ფურცელზე სამი ან ოთხი ახალგაზრდა პატრიოტის წერილია მოთავსებული.

— დიდი სიხარული განვიცადე, როდესაც პირველად წავიკითხე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება საბჭოთა არმიის რიგებში მორიგი გაწვევის შესახებ, — წერს ერთ-ერთ საბრძოლო ფურცელში წვევამდელი ა. ვორონოვი, — ამიხდა დიდი ხნის ოცნება — გავმხდარიყავი ძლევამოსილი საბჭოთა არმიის ჯარისკაცი. ხალისით წავალ იქ, სადაც სამშობლო მოგვიწოდებს, მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე ყოფნა ხომ თვითეული საბჭოთა მოქალაქის ვალია. ძალღონეს არ დავზოგავ, რომ იქაც მოწინავეთა რიგებში ვიყო.

აი გამწვევი კომისიის წინაშეა კომკავშირელი თ. ცოტაძე. რაიონის სამხედრო კომისარი პოდპოლკოვნიკი გ. ფუტკარაძე აუჩქარებლად ხსნის მის პირად საქმეს, კითხულობს სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის დახასიათებას და თხოვნას, რომელშიც თენგიზი გამოთქვამს სურვილს, რომ იგი გაგზავნონ სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

— თქვენი სურვილი დაკმაყოფილებულია, — ეუბნება ჭაბუკს გ. ფუტკარაძე. სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში ჩარიცხეს აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვ. ჭელიძე. მ. ოქრუაშვილი საარტილერიო ნაწილში გაგზავნეს, თ. ალხაზიშვილი საავიაციო, ხოლო ა. თლაშაძე, ა. ოსიპოვი და ს. ბაგიროვი ჯავშანსატანკო ნაწილში.

კიდევ რამდენიმე დღე, და ახალგაზრდა პატრიოტები სამხედრო ნაწილებში გაემგზავრებიან.

## ოქტომბრის გმირები

# თავდადებული მებრძოლი

1896 წელს ხონში დაიბადა სოციალისტური რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი, ნიჭიერი პუბლიცისტი და კრიტიკოსი ვალერიან (ვალია) სამსონის-ძე ბახტაძე. იგი მეტად მძიმე პირობებში იზრდებოდა. ლუკმაპურის ძიებამ ოჯახის ერთადერთ მარჩენალს სამსონ ბახტაძეს ბათუმში, მანთაშევის ქარხანაში დააწყებინა მუშაობა. მის მიერ მთელი თვის განმავლობაში გაწეული არაადამიანური შრომა მრავალრიცხოვან ოჯახს ერთი კვირის განმავლობაშიც კი ვერ ინახავდა. ვალერიანს ბავშვობის მძიმე წლებმა და განუწყვეტელმა სიდუხჭირემ პატარაობიდანვე ჩაუნერგა მდიდრებისადმი სიძულვილი.

ექვსი წლის ვალერიანი სკოლაში მიაბარეს, ხოლო 11 წლის ასაკში ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამოქალაქო სასწავლებელში განაგრძო სწავლა.

სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი შედის გიმნაზიაში, სადაც უკვე ჩამოყალიბებული იყო მოსწავლეთა ლიტერატურული წრე პოლიტიკური განხრით. წრეში ორი მიმდინარეობა არსებობდა — ერთი მხრივ იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ხოლო მეორე მხრივ ფედერალისტები. ახალგაზრდა ვალერიანი 1912 წელს ებმება სოციალ-დემოკრატიულ წრეში და აქტიურ მონაწილეობას იღებს მის მუშაობაში.



ვ. ბახტაძე.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვ. ბახტაძე ჩადის ხონში, სადაც ენერგიულად ეწევა არალეგალურ მუშაობას.

სწავლამოწყურებულ ვალერიანს არ აკმაყოფილებს გიმნაზიაში მიღებული ცოდნა. 1915 წლის დასასრულს იგი მიემგზავრება ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლის განსაგრძობად, მაგრამ ავადმყოფობის გამო ისევ საქართველოში ბრუნდება და მუშაობს მის მიერ დაარსებულ არალეგალურ წრეებში.

ამავე წელს ის შედის პარტიის რიგებში.

1916 წელს ვ. ბახტაძე მობილიზაციით გაჰყავთ მეფის ჯარში და გზავნიან პეტერგოფში „პრაპორშჩიკების" სკოლაში. აქ მისი ინიციატივით იქმნება სოციალ-დემოკრატების ვიწრო წრე, რომელსაც მუშაობა უხდება მეტად ძნელ პირობებში. იმ ხანებში დახვრიტეს კრონშტადტის მეზღვაურები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ბახტაძის წრესთან. ეს წრე მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიის პეტერბურგის კომიტეტთან.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ვ. ბახტაძეს პეტერგოფში მოუსწრო. 25 თებერვალს ღამით, თავის მეგობრებთან ერთად, იგი გაიპარა სკოლიდან და შეუერთდა ორანიენბაუმიდან მომავალ სახელგანთქმულ პირველ მეტყვიამფრქვევთა პოლკს.

სუსხსა და თოვლში ვალიამ 40-ზე მეტი კილომეტრი გაიარა ფეხით პეტერგოფიდან პეტროგრადამდე. მებრძოლ რევოლუციურ ჯარისკაცებთან ერთად მრავალ შეტაკებაში მიიღო მონაწილეობა. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ობუხოვის ქარხანასთან გამართულ ბრძოლებში. მიიღო უშუალო მონაწილეობა მეფის მთავრობის დაპატიმრებაში. ერთ-ერთი თავისი მეგობრისათვის პეტროგრადიდან გამოგზავნილ წერილში იგი წერდა: „გაჯობე!.. წარმოიდგინე ჩემი აღტაცება — რომანოვების მთავრობა მოგვყავს დატყვევებული. მეც აქ ვარ... შეიტყეთ ყველამ, ნიკოლოზის მინისტრები რევოლუციურ ჯარს დატყვევებული ჰყავს, მე ამ ჯარებში ვმსახურობ"...

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ვ. ბახტაძე რამდენიმე ხნის განმავლობაში მუშაობდა პეტერგოფის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ. შემდეგ, კერენსკის მიერ დაწყებული შეტევის დროს, ის გაგზავნილ იქნა ავსტრიის ფრონტზე, მაგრამ ის ნაწილი, რომელშიც ვ. ბახტაძე იყო, [illegible] აჯანყდა. დაიწყო აჯანყებულთა სასტიკი დევნა. ვ. ბახტაძე იძულებული გახდა საქართველოში გამოქცეულიყო. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ის ხონის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი გახდა.

ვ. ბახტაძე მონაწილეობას იღებს დასავლეთ საქართველოში მოწყობილ ბოლშევიკურ აჯანყებაში. შემდეგ სამუშაოდ გადადის ქ. ბათუმში, სადაც არჩეულ იქნა ჯერ ბათუმის, ხოლო შემდეგ ბათუმ-გურიის ბოლშევიკური კომიტეტის მდივნად. მისი ხელმძღვანელობით ბათუმში დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „მუშის სიმართლემ". 1918 წლის აპრილში მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სამეგრელოს გლეხთა აჯანყებაში.

1918 წელს მენშევიკებისაგან დევნილი ვ. ბახტაძე თავს აფარებს სოხუმის ოლქს. 1918 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის გლეხთა აჯანყების დროს, რომელიც მიმართული იყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, იგი ხელმძღვანელობს აჯანყებულთა სამხედრო-საზღვაო რაზმებს და შედის სამხედრო-რევოლუციურ შტაბში. ცოტა უფრო გვიან მას ვხედავთ კავკავში, როგორც კომუნისტური რაზმის უფროსს. ერთ-ერთი შეტაკების დროს დენიკინელებთან ის ტყვედ ჩაჯარდა კაზაკებს, მაგრამ ახერხებს გაქცევას და ზამთრის სუსხიან დღეებში ავადმყოფი ბრუნდება კავკავში. თერგის რესპუბლიკის დაცემის შემდეგ იგი იძულებულია საქართველოში გამოიქცეს, სადაც მას მენშევიკური ხელისუფლება აპატიმრებს. ტიფით ავადმყოფობამ ის გადაარჩინა დიდი ხნით პატიმრობას. გამოჯანსაღების შემდეგ კვლავ ხონში ბრუნდება და განაგრძობს არალეგალურ მუშაობას, რისთვისაც კვლავ აპატიმრებენ. ციხიდან განთავისუფლებული ვ. ბახტაძე მუშაობს თბილისში, გაზეთ „კომუნისტის" რედკოლეგიის წევრად და ამავე დროს მდივნად, მაგრამ მალე ისევ დააპატიმრეს და ჩასვეს ქუთაისის ციხეში. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ დანიშნეს ბაქოში ცხენოსანი დივიზიის სამხედრო კომისრად.

როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ვალერიან ბახტაძემ დაიწყო მუშაობა გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორად. შემდეგ გადაჰყავთ პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად. ამავე დროს რედაქტორობს ჟურნალს „მუშა და გლეხს". მალე ის დაინიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

ვ. ბახტაძე 1930 წელს სრულიად ახალგაზრდა — 34 წლისა გარდაიცვალა ჭლექით, რომელიც ძველი რეჟიმის სიდუხჭირემ განუკურნავ სენად დაუტოვა.

1930 წლის 7 დეკემბერს, როცა პროფკავშირთა სახლიდან მისი ცხედარი გამოასვენეს, სამგლოვიარო მიტინგზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ფ. მახარაძემ და ძველი ბოლშევიკების სახელით ვ. სტურუამ ვალერიან ბახტაძე დაახასიათეს, როგორც აზრის სიფხიზლითა და მაღალი ნიჭით დაჯილდოებული, საქმის უაღრესად მოყვარული და საუკეთესო ადამიანი.

ქართველი ხალხი, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის შესახვედრად, მადლობის გრძნობით იგონებს ვალერიან ბახტაძეს, როგორც სოციალისტური რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლს.

ზ. მახარაძე.

## ემზადებიან ი. ჭავჭავაძის იუბილესათვის

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავის იუბილესათვის. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში შექმნილია ილია ჭავჭავაძის იუბილეს მომწყობი კომისიები.

ლენინგორის რაიონულ ბიბლიოთეკაში ამ მნიშვნელოვანი თარიღის შესახვედრად მოწყობილია ფართო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ილიას თხზულებები, უცხო ენებიდან მის მიერ თარგმნილი ნაწარმოებები. ასეთივე გამოფენაა მოწყობილი სტალინირის ნ. კრუპსკაიას სახელობის საოლქო ბიბლიოთეკაში. ილიას იუბილესადმი მიძღვნილ სპეციალურ კუთხეებს ნახავთ სასოფლო ბიბლიოთეკებსა და კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, სკოლებში. ბევრგან ამ თარიღთან დაკავშირებით გამოუშვეს კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები. ზნაურის რაიონის სოფელ თერეგვენისა და ძვილეთის კოლმეურნეობებში ილიას იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო ლიტერატურული საღამოები.

# სწრაფად დავძლიოთ ჩამორჩენა მარგანეცის მრეწველობაში

### ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მარგანეცის ტრესტის საწარმოების რვა თვის მუშაობის შედეგებზე მოისმინა და განიხილა მარგანტრესტის მთავარი ინჟინრის დ. გელაშვილის მოხსენება.

— მარგანეცის ტრესტი და ცალკეული მაღაროები, — თქვა მომხსენებელმა, — მიმდინარე სამეურნეო წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ტრესტი ვერ ასრულებს საგეგმო დავალების ვერც ერთ მაჩვენებელს. საგრძნობი დანაკლისით სრულდება მადნის მოპოვების, სასაქონლო პროდუქციის დამზადების, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების დავალებანი. ლენინის, სტალინის, კალინინის, დიმიტროვის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებმა და თვით მარგანტრესტმა არათუ არ გაადიდეს პროდუქციის გამოშვება, არამედ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7-12 პროცენტით შეამცირეს კიდევაც. შესამჩნევად გაიზარდა ტონა მადნის თვითღირებულება.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ასეთი შეუწყნარებელი ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ მაღაროებისა და ტრესტის ხელმძღვანელები სუსტად იბრძვიან არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენებისათვის, სრული დატვირთვით ვერ იყენებენ სამთო მექანიზმებს, ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა-გავრცელებას, წარმოების კულტურის ამაღლებას. მაღაროებში ჯერ კიდევ იგრძნობა მოდუნებულობა, უყაირათობა, უდისციპლინობა. ტრესტში ბევრი დადგენილება და ბრძანება იწერება, ხოლო მასებში ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა დავიწყებულია.

პლენუმზე მწვავედ გააკრიტიკეს მარგანტრესტის ტექნიკური, მექანიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და ტექნიკური კონტროლის განყოფილებები, რომლებიც კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობენ საწარმოებს და ქმედით ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის ჯერ კიდევ მოუქნელი მუშაობა, რაც ცუდ გავლენას ახდენს მარგანეცის მოპოვების გეგმის შესრულებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კამათში სიტყვით გამოსულმა ლენინის, სტალინის და ვოროშილოვის სახელობის მაღაროების დირექტორებმა შ. ახვლედიანმა, ა. პეტრიაშვილმა, ა. ცინცაძემ, ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის მაღაროების მთავარმა ინჟინრებმა ნ. გამცემლიძემ და ა. კაკოიშვილმა, მარგანტრესტის საწარმოო და სატრანსპორტო განყოფილებების უფროსებმა შ. პაქსაშვილმა და ს. ჯაფარიძემ უფრო მეტად ეგრეთწოდებულ „ობიექტურ მიზეზებზე" ილაპარაკეს და არაფერი თქვეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც თვით მაღაროებისა და ტრესტის მუშაობაშია და რომელთა გამოსწორება წინ წასწევს მარგანეცის მრეწველობას, ხელს შეუწყობს ჩამორჩენის დაძლევას.

არც მომხსენებელს და არც კამათის მონაწილეებს არაფერი არ უთქვამთ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებზე, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებაზე, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. პლენუმის მუშაობის ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ კამათის თითქმის არც ერთი მონაწილე არ შეხებია მაღაროებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს.

პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მარგანეცის მრეწველობის ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლა, ჭიათურელი კომუნისტების, ყველა მაღაროელის გადაუდებელი ამოცანაა.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



გულს უხარია: ტყესავით ატეხილ სიმინდის ყანებში კომბაინი მუშაობს, სიმინდს ჭრის, ტაროებით დატვირთულ ავტომანქანებს მალიმალ ისტუმრებს... კასპის რაიონის სოფელ ალაიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის რუისპირისა და სხვა ნაკვეთებზე ჰექტარზე მიღებულია 40 ცენტნერი სიმინდი. აღებულ ვალდებულებას აქ 20 ცენტნერით გადააჭარბეს. უხვი მოსავლის მოყვანაში თავი ისახელეს კოლმეურნეებმა ბ. გრიგოლაშვილმა, ი. ილურიძემ, ვ. ბროძელმა, თ. გამხიტაშვილმა, ნ. ჯაჭვაძემ და სხვებმა.

სურათზე: სიმინდის აღება კომბაინით კასპის რაიონის სოფელ ალაიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში.

პრესის მიმოხილვა

# საკოლმეურნეო გაზეთი

[illegible]

...ზე, მევენახეების, მწყემსების საქმიანობაზე. კოლმეურნეობის ცხოვრების ამსახველ საინტერესო მასალებს მოიცავს გაზეთის მე-3 ნომერი. მოწინავე წერილში, „მევენახეთა ღირსების საქმე“ მკაცრად არის გაკრიტიკებული მევენახეთა ის ბრიგადები, რომლებიც სათანადოდ ვერ უვლიან ახალგაშენებულ ვენახებს. წერილში [illegible]

...ლები დახვეწილი ქართული ენით არის დაწერილი, დამაკმაყოფილებელია გაზეთის ნომრების ტექნიკური გაფორმება. გაზეთს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის თითქმის ყველა ნომერში მიცემული „ნიანგის კუთხე“, სადაც ხშირად თავსდება იუმორისტულად დაწერილი მასალები ზარმაცების, საკოლმეურნეო შრომის თავის ამრიდებლების შესახებ.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ვედიდკარის კოლმეურნეობა „შეერთებულ ძალაში“ სერიოზული დარღვევებია: მოუწესრიგებელია შრომა, მეცხოველეობის ფერმები უყურადღებოდ არის მიტოვებული, ვენახები მოუვლელია, — წერდნენ სოფლკორები რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში.

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომიდან, სადაც ეს წერილი ზომების მისაღებად გაიგზავნა, გვატყობინებენ, რომ რაიკომის ბიურომ სამუშაოდან მოხსნა კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ფანცულაია და ფერმის გამგე ურიდია სამეურნეო-საფინანსო მუშაობაში დაშვებული დარღვევებისათვის, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. რურუას და პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ე. დარციმელიას საყვედური გამოუცხადა.

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქალაქი



საბურთალოზე შენდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქალაქი, რომელიც 20 შენობისაგან იქნება შემდგარი. მთავარ კორპუსში მოთავსდება აკადემიის პრეზიდიუმი, განყოფილებები და დაწესებულებები. ამჟამად შენდება აკადემიის ინსტიტუტების კორპუსები სამეცნიერო დარგების მიხედვით.

ახლახან უკვე მთლიანად დამთავრდა 4-სართულიანი VIII კორპუსის მშენებლობა. მასში [illegible]



მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. პოლიტოვი (მარჯვნივ) და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ე. კიწმარიშვილი ნახევარგამტართა და დიელექტრიკოსთა განყოფილებაში მუშაობენ ნახევარგამტარ ნივთიერებათა გამოკვლევაზე.



მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ცხვარაშვილი ორთქლის მაღალი წნევის დანადგარზე მუშაობის დროს რადიაქტიური იზოტოპების ლაბორატორიაში.

ფოტო და ტექსტი ვ. უზნაძისა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## პოპულარული ნაშრომები სიმინდზე

სიმინდი უძვირფასესი სასურსათო და საკვები კულტურაა. მისი ნათესების გაფართოებით და მოსავლიანობის ამაღლებით იზრდება, ერთი მხრივ, მარცვლეულის რესურსები, ხოლო, მეორე მხრივ, მეცხოველეობის საკვები ბაზა. მარცვლეულ კულტურებს შორის სიმინდი თითქმის ყველაზე უხვმოსავლიანია და მრავალი სახეობის მაღალყუათიან საკვებ პროდუქტს იძლევა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასახეს მთელი რიგი ღონისძიებები სიმინდის ნათესების მკვეთრად გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად.

ამ ბოლო დროს სიმინდზე და მის გამოყენებაზე საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ რამდენიმე პოპულარული ნაშრომი გამოსცა. აგრონომის ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული პროფესორ **შ. ჭანიშვილის** ბროშურა **„სიმინდის მაღალი მოსავლის აგროტექნიკა“** სასარგებლო ნაშრომია. მასში განხილულია სიმინდის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, მისი გავრცელება საქართველოში, ბიოლოგიური თავისებურებანი, ჩვენში ცნობილი ჯიშები, მათი ბიოეკოლოგიური დახასიათება, ჰიბრიდული თესლის მოყვანა, სიმინდის ნათესების მოვლა-დამუშავება და მოსავლის აღება.

სარეცენზიო ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ სიმინდის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი ავტორს განხილული აქვს მეცნიერული მონაცემებისა და ნოვატორ-პრაქტიკოსთა მდიდარი გამოცდილების განზოგადების თვალსაზრისით. ავტორის მიერ აღნიშნული ღონისძიებები გამომდინარეობენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და მისი სამეცნიერო ქსელის მონაცემებიდან, მოსავლის ცნობილი ოსტატების სოციალისტური შრომის გმირების ჩ. ქვაჩახიას, ძ. რიგვავასა და სხვათა მდიდარი გამოცდილებიდან. სპეციალური თავია მიძღვნილი სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატების გამოცდილებისადმი.

ნაშრომში კარგად არის გაშუქებული სიმინდის ხელოვნური დამტვერვის დიდი მნიშვნელობა. ვრცლად განხილულია დნეპროპეტროვსკის ოლქისა და კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობათა გამოცდილება ჰიბრიდული თესლის თესვაში, აგრეთვე გამოჩენილი კოლმეურნეების მარკ ოზიორნის, ევგენია დოლინიუკის, სტეპანიდა ვიშტაკისა და სხვათა მუშაობის მეთოდები და მიღებული შედეგები. საკმაო ადგილი აქვს დათმობილი სიმინდის სამუშაოთა შესრულების მექანიზაციას.

ამ ნაშრომს მაინც აქვს ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, სწორი არ არის მითითება, რომ „სიმინდის თესლის ნორმალური გაღივებისათვის ნიადაგის საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა 10-12 გრადუსს უდრიდეს...“ (გვ. 14). ქვემოთ კი ნაჩვენებია, რომ თესლის გაღივებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 32 გრადუსია. ეს სწორია.

ცნობილია, რომ ნაწვერალზე ნათესი სიმინდი მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს მარცვლეულისა და საკვები ბაზის გადიდების საქმეში. აგრონომ **ი. ქაჩიბაიას** მიერ შედგენილი ბროშურა **„ნაწვერალო სიმინდის მოყვანის გამოცდილება“** მოგვითხრობს ლაგოდეხის, ყვარლისა და სხვ. რაიონების მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებაზე.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს სხვადასხვა ზონის ბუნებრივი პირობები და საშემოდგომო ხორბლეულის აღების შემდეგ ნაწვერალზე სიმინდის წარმატებით მოყვანის დიდი შესაძლებლობები. მოყვანილია დამაჯერებელი მონაცემები მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნაწვერალზე დასათესად გამოყენებული „მინესოტა — 13-ის“, „ქართული კრუგის“ და სხვა ჯიშების მოსავლიანობის შესახებ.

ნაწვერალზე ნათესი სიმინდის აგროტექნიკა ცალკე თავად არის წარმოდგენილი. ამ თავში და საერთოდ მთელ ნაშრომში გაშუქებული არ არის სიმინდის ნათესების განოყიერების საკითხი. იმ თავში კი, რომელიც მიძღვნილია კოლმეურნეობათა გამოცდილების განზოგადებისადმი, უფრო ორგანიზაციული საკითხებია განხილული, ვიდრე აგროტექნიკური. ნაშრომი მოიგებდა, რომ ეს ორი თავი გაერთიანებულიყო და ავტორს თვითეული აგროტექნიკური ღონისძიება განეხილა მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების განზოგადების ფონზე.

მეცხოველის ბიბლიოთეკის სერიით სახელგამმა გამოსცა **ა. ქუთათელაძის** ბროშურა **„სიმინდი როგორც საკვები კულტურა და მისი გამოყენება მეცხოველეობაში“**. აღნიშნულ ნაშრომში გაშუქებულია სიმინდის კულტურის გავრცელება ჩვენში, სიმინდი როგორც საკვები კონცენტრატი, როგორც ძვირფასი სასილოსე მასალა, სიმინდის ჩალა როგორც მნიშვნელოვანი უხეში საკვები და სიმინდის ზოგიერთი სხვა საკვები პროდუქტი, მათი გამოყენება.

ბროშურა დაწერილია პოპულარული ენით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამხ. ა. ქუთათელაძე სარგებლობს ზოგიერთი სადავო ტერმინით. მაგალითად, მსხვილფეხა რქიან საქონელს იგი უწოდებს ზროხას, ხბოს 6 თვის ასაკამდე — ბარაქეულს, დედალორს — ქუბს, დედათხას — ნეზვს და სხვ. ბროშურის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ავტორს გამოყენებული არა აქვს მოწინავე მეცხოველეების მდიდარი გამოცდილება. ნაშრომი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, რომ მასში ყოფილიყო კონკრეტული მაგალითები მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის პრაქტიკიდან.

მიუხედავად აღნიშნული ზოგიერთი ნაკლისა, სარეცენზიო ბროშურები საინტერესო და სასარგებლოა.

ჩვენი აზრით, სახელგამმა უფრო მეტი ადგილი უნდა დაუთმოს სოფლის მეურნეობის დარგში მოწინავეთა მდიდარი გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების განზოგადებაზე აგებული მასობრივ-პოპულარული კვალიფიციური ნაშრომების გამოცემას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი თავის მხრივ მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს ხსენებული ხასიათის კარგი ნაშრომების მეტი რაოდენობით გამოცემისათვის.

დოცენტი **თ. კეშელავა.**

# ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი აღმავლობისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კინოსურათების წარმოების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ზრდის მნიშვნელოვანი ამოცანა დასახა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკებისაგან მოითხოვს მთელი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციას, ბრძოლას იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს და ხელს უშლის კინოხელოვნების შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებას ზიანი მიაყენა უკონფლიქტობის მავნე თეორიამ, რომელმაც გამოიწვია ერთგვარი შემოქმედებითი მოდუნება. მოდუნება განსაკუთრებით იგრძნობოდა 1950-დან 1954 წლამდე, როცა ჩვენმა კინოსტუდიამ მხოლოდ ერთი მხატვრული ფილმი („მწვერვალთა დამპყრობნი“) და ერთი სრულმეტრაჟიანი მხატვრული კინონარკვევი („საბჭოთა საქართველო“) გამოუშვა.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის დარგში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1954 წლის 7 აგვისტოს მიიღეს დადგენილება, რომლის განხორციელებისათვის გაშლილმა მუშაობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. 1954 წლიდან დაწყებული კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გამოუშვა მთელი რიგი მხატვრული ფილმები: „ჭრიჭინა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთებიდან“, „ცისკარა“, „მაგდანას ლურჯა“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ქართული ბალეტის ოსტატები“, „ეთერის სიმღერა“, „ბაში-აჩუკი“, „ჩრდილი გზაზე“, „აბეზარა“, „ჩვენი ეზო“. „მე ვტყვი სიმართლეს“; ნახატი ფილმები: „მზეჭაბუკი“, „ნიკო და ნიკორა“, „ხელმარჯვე ოსტატი“; კინონარკვევები „ალაზნის ველი“, „სასოფლო-სამეურნეო გამოფენა“, „პამირის მწვერვალებზე“, „ურღვევი მეგობრობა“ და სხვ. ყველა ეს ფილმი თემატიკის, იდეურობისა და მხატვრულობის თვალსაზრისით სხვადასხვა მასშტაბისა და მნიშვნელობისაა, მაგრამ მათ მაინც თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების საქმეში. ჩვენი კინემატოგრაფიის წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ ბევრი ქართული ფილმი გასცდა სსრ კავშირის ფარგლებს და მათ წარმატებით უჩვენებენ მსოფლიო ეკრანებზე. ხოლო ფილმები „მაგდანას ლურჯა“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ჩვენი ეზო“ და „ალაზნის ველი“ მაღალი ჯილდოებით აღინიშნა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

მაგრამ იმ შესაძლებლობასთან შედარებით, რაც ქართულ კინემატოგრაფიას აქვს, მოპოვებული წარმატებები დამაკმაყოფილებელი არ არის.

ჩვენი რესპუბლიკის კინომუშაკების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის კინომუშაკების, უპირველესი და მთავარი ამოცანა ის არის, რომ აამაღლონ კინოხელოვნების ნაწარმოებთა იდეური და მხატვრული დონე, მიაღწიონ იმას, რომ ეკრანზე ნაჩვენები ყოველი კინოფილმი იყოს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწე კომუნიზმის მშენებლობის დიადი მიზნების განხორციელების საქმეში. საბჭოთა კინო მხოლოდ იმ პირობით გაუწევს ჩვენს პარტიას ქმედით დახმარებას იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც ახლა დგას საბჭოთა ხალხის წინაშე, თუ შექმნის ნამდვილ მაღალმხატვრულ, მკაფიო, წარმტაც, კეთილშობილური აზრებითა და იდეებით გამსჭვალულ ფილმებს, რომლებშიც ღირსეულად იქნება ასახული საბჭოთა ადამიანების, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა.

ამ კეთილშობილური ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ქართული კინემატოგრაფიის დარგში, საჭიროა მთელ რიგ ქმედით ღონისძიებათა განხორციელება. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა სცენარს ენიჭება შეიძლება ითქვას, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებამ უკანასკნელ ხანს რამდენადმე გააუმჯობესა მუშაობა. ამჟამად წარმოებაშია სცენარები „საბუდარა“. „მამელუკი“, „ფატიმა“, „მაიაკოვსკის სიჭაბუკე“, „დედინაცვალი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ქალის ტვირთი“, „საბჭოთა საქართველო“, „ჩხიკვთა ქორწილი“, დოკუმენტური: „საბჭოთა აფხაზეთი“, „ლადო გუდიაშვილი“ და სხვ. მზადდება წარმოებაში გადასაცემად „ერთი ქალიშვილის ისტორია“, „ვინ არის დამნაშავე“, „ზვიგენის კბილი“, „თეთრი საყელო“, „კოლხეთის ცისკარი“. „ჩემი უმცროსი ძმა“. „სარჩობელაზე“, „განთიადის წინ“, „კაცია-ადამიანი?!“, „მე ვეძებ ოთახს“.

სცენარების მომზადების რაოდენობრივი მხარე თუ შედარებით მოგვარებულია, სამაგიეროდ სერიოზული ნაკლოვანებებია კინოსცენარების თემატიკის მხრივ. უწინარეს ყოვლისა შეინიშნება გატაცება ისტორიული თემით, კლასიკოსთა ეკრანიზაციით. ახლა წარმოებაში მყოფი შვიდი მხატვრული სცენარიდან ხუთი ისტორიულ თემაზეა დაწერილი. მიღებული ათი სცენარიდან, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სცენარებიდან ნახევარზე მეტი წარსულს ეხება. ასეთი თანაფარდობა უთუოდ არასწორია.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ კინოსტუდიის, აგრეთვე კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელები სათანადო პრინციპულობას და მომთხოვნელობას ვერ იჩენენ კინოსტუდიის თემატური გეგმების შედგენის დროს.

ისტორიული თემები და კლასიკოსთა ეკრანიზაცია, ცხადია, საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების მაგისტრალური გზა არ არის და არც შეიძლება იყოს. საბჭოთა კინოხელოვნების აღმავლობა, მისი ყოველდღიური ზრდა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდით შექმნილი თანამედროვეობის ამსახველი ფილმების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. კინოსტუდიის თემატურ გეგმაში თანამედროვე თემას წამყვანი ადგილი უნდა ეჭიროს. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის მებრძოლი მაღალმხატვრული ფილმების შექმნას, ისეთი კინოფილმების გამოშვებას, რომლებიც ნათლად დაგვანახვებენ კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა გმირულ სახეს, მათს თავდადებულ შრომას, პატრიოტიზმს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია კინოსტუდიის თემატური გეგმის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ მის გეგმაში წამყვანი ადგილი თანამედროვე თემებს ეკავოს.

სცენარების თემატიკასთან ერთად არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს წარმოებაში მყოფი და გადასაცემი კინოსცენარების ხარისხის საკითხს. არც აქ არის ყველაფერი რიგზე. ხშირია შემთხვევა, როცა წარმოებაში მიდის დაუმთავრებელი, სათანადოდ დაუმუშავებელი კინოსცენარი, რომელიც ჯერ კიდევ შესწორებასა და გადაკეთებას მოითხოვს. ხშირად ეს შესწორება და გადაკეთება წარმოებს ფილმის გადაღების პროცესში, რაც იწვევს ფილმების გამოშვების გეგმების დარღვევას, ზოგჯერ კი დამდგმელი კოლექტივის შემოქმედებითი მარცხს.

ბრძოლა მაღალხარისხოვანი, სრულყოფილი კინოსცენარების შექმნისათვის კინოსტუდიისა და მისი სასცენარო განყოფილების მუშაობის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს. ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენი ფილმების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ზრდას.

ამ დიდი მუშაობის გაწევა მარტო კინოსტუდიასა და მის სასცენარო განყოფილებას არ შეუძლიათ. მათთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და მისი კინოკომისია. მათი მუშაობა კი ამ მხრივ უმთავრესად ცალკეული კინოსურათების გასინჯვით ამოიწურება. მწერალთა შორის იშვიათად იკითხება სცენარები. არანორმალურია ისიც, რომ ქართველ მწერალთა მეტად უმნიშვნელო ნაწილი მუშაობს სცენარების შექმნაზე.

საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების მთელი ისტორია ნათლად ადასტურებს იმას, რომ მწერალთა აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მაღალხარისხოვანი მხატვრული კინემატოგრაფიული ნაწარმოების შექმნა.

შეხედულება, რომ სცენარი, როგორც სავსებით თავისებური და ახალი სახის რთული ლიტერატურული ნაწარმოები, თავისი სპეციფიურობის გამო თითქოს დაუძლეველია მწერალთა უმეტესი ნაწილისათვის, არაფრით არ არის გამართლებული. პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ მწერალთა ერთ ნაწილს, რა სახის მხატვრულ ლიტერატურულ მუშაობასაც უნდა ეწეოდეს იგი, შეუძლია ნაყოფიერად იმუშაოს სცენარზეც, თუ მოინდომებს, თუ ამ საქმისადმი სიყვარულს გამოიჩენს. სამწუხაროდ, საგრძნობი ნაწილი ჩვენი მწერლებისა სცენარზე მუშაობას სიყვარულით, პატივისცემითა და პასუხისმგებლობით არ ეკიდება. ჩვენი მწერლების დიდი ნაწილი ხშირად არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს, თავის დროზე არ აბარებს წარმოებას სცენარს, რადგან მისთვის დროს ვერ პოულობს, ან თუ აბარებს, ნაჩქარევად და ზერელედ დაწერილს, რომელსაც არც ლიტერატურული ღირებულება აქვს და არც კინემატოგრაფიული.

კინემატოგრაფიისადმი ზოგიერთი მწერლის ასეთ გულგრილ დამოკიდებულებაში ბრალი კინემატოგრაფისტებსაც მიუძღვით.

მიუხედავად იმისა, რომ სცენარი ფილმის საფუძველია, რომ კინოდრამატურგი ფილმის შექმნისას ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, არსებითად ჩვენში სცენარი ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა ნახევარფაბრიკატის მდგომარეობიდან. ხოლო სცენარის ავტორი — კინოდრამატურგი სცენარის წარმოებაში ჩაშვების შემდეგ მეტწილად მივიწყებულია. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა რეჟისორი ანგარიშს არ უწევს სცენარის ავტორის შემოქმედებით თავისებურებას, მის სტილს და ყველაფერს საკუთარ გემოვნებას უმორჩილებს, ანუ, გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სცენარს ისე ეპყრობა, როგორც დურგალი ფიცარს“. ცოტა როდია იმის მაგალითი, როცა ლიტერატურული შემოქმედებიდან შორს მდგომი რეჟისორი სცენარის წერას იწყებს ან თანაავტორობას სთავაზობს მწერალს — კინოდრამატურგს მაშინაც კი, როცა მას მის მიერ გაწეული შემოქმედებითი შრომა ამის უფლებას არ აძლევს. ზოგიერთი რეჟისორი თავის პროფესიულ საქმიანობას, კინოსცენარზე რეჟისორულ და საავტორო მუშაობას ერთიმეორეში ურევს და სცენარში ოდნავი ცვლილების შეტანისათვის თავს თანაავტორად აცხადებს. ეს უთუოდ არანორმალურია.

სცენარის ავტორისა და რეჟისორის შემოქმედებითი შრომა ერთი განუყრელი მთლიანობაა. ამ მთლიანობის დარღვევას, მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის უგულებელყოფას ან, პირიქით, ავტორის მიერ რეჟისორის სამართლიანი შემოქმედებითი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობას მხოლოდ ზიანი მოაქვს საქმისათვის. რეჟისორს არ ეკრძალება სცენარის წერა, არც მწერლისა და რეჟისორის თანაავტორობა შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, მაგრამ აქ ზომიერების დაცვაა საჭირო.

ჩვენს მწერლებს კინემატოგრაფიაში მუშაობის ხალისს უკარგავს, ამ დარგში მათს შემოქმედებას უპერსპექტივოს ხდის აგრეთვე ის, რომ დღემდე ვერ მოწესრიგდა ქართულ ენაზე კინოსცენარების გამოცემა. ჩვენი გამომცემლობები მათ დაბეჭდვისა და გამოცემის ღირსად არ ცნობენ. ჯერჯერობით გამოცემულია მხოლოდ ორი სცენარი — „დავვიანებული სასიძო“ და „ბედნიერი შეხვედრა“. ამ სცენარების სწრაფი გავრცელება ნათლად მეტყველებს იმ დიდ ინტერესზე, რასაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება კინოსცენარების მიმართ იჩენს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მითითება იმის შესახებ, რომ ღირსშესანიშნავი ქართული სცენარები გამოიცეს და ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს, უნდა განხორციელდეს. ეს ხელს შეუწყობს ახალი ავტორების აღზრდას, მათ მოსვლას კინემატოგრაფიაში.

კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კინომუშაკების — რეჟისორის, ოპერატორის, მსახიობის, ხმის ოპერატორისა და სხვა მუშაკების შემოქმედებითი ოსტატობის ზრდას, მათს დახელოვნებას. უამისოდ ვერ მივაღწევთ კინონაწარმოებების ხარისხობრივ ზრდას.

უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე გამოსული ფილმების რიცხვი მართალია საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ეს ფილმები ყველა ერთნაირი მხატვრული ღირსებისა როდია. ფილმები „ცისკარა“, „ეთერის სიმღერა“, „მე ვიტყვი სიმართლეს“ ვერ დგანან მათი დამდგმელი კოლექტივების შემოქმედებითი შესაძლებლობის დონეზე. ამ კინოფილმების უმეტესობაში ნაკლებად იგრძნობა რეჟისორთა მაღალი ოსტატობა, მსახიობთა წამყვანი როლი, მათი შინაგანი შემოქმედებითი გზნება.

ფილმის იდეურ-მხატვრულ კომპონენტებს შორის მსახიობის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქართველოში ბევრი სახელოვანი კინომსახიობი გამოიზარდა. ქართველ კინომსახიობთა რიგებს ამ უკანასკნელ ხანებში შეემატნენ ნიჭიერი კადრები როგორც ძველი, ისე ახალი თაობიდან.

მიუხედავად ამისა, იშვიათი არ არის როლების სუსტად შესრულების შემთხვევები. ხასიათების რეალისტური გახსნა, გმირის სულიერი სამყაროს დამაჯერებლად გადმოცემა ნიჭთან ერთად მსახიობისაგან დიდ შრომას და განსასახიერებელი როლის ზედმიწევნით სიყვარულს მოითხოვს. მაგრამ შემოქმედებითი გამარჯვების ამ აუცილებელ პირობას ყველა მსახიობი როდი იცავს. ამის გამო კარგად გაკეთებული სცენებისა და ეპიზოდების გვერდით ვხვდებით ისეთებს, სადაც მსახიობი ვერ გადმოგვცემს მდგომარეობის შესაფერ განწყობილებას, მძაფრ ემოციურ განცდებს, თამაშობს ცივად, როგორც იტყვიან, წინასწარ მოხაზული მიზანსცენების მიხედვით. ყოველივე ამაში ბრალი დამდგმელ რეჟისორსაც მიუძღვის.

ნაკლოვანებებით ხასიათდება მთელი რიგი ქართული ფილმების მხატვრული გაფორმება. ხშირად შესამჩნევია მათში მუსიკის დაბალი ხარისხი, ხმის ოპერატორის პასიური დამოკიდებულება ხმის მხატვრული გააზრებისა და შემოქმედებითი გადაწყვეტისადმი.

ამ უკანასკნელ წლებში კინოსტუდიაში ბევრი ახალგაზრდა მუშაკი დაწინაურდა, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ არის.

როგორც ცნობილია, კინოსტუდიამ უახლოეს მომავალში ყოველწლიურად 8-10 კინოსურათი უნდა გამოუშვას. სტუდიის დამდგმელ რეჟისორთა და ოპერატორთა დღევანდელი რაოდენობა სრულებითაც ვერ უზრუნველყოფს ამ ამოცანის შესრულებას. კინოსტუდიის შემოქმედ მუშაკთა შორის საკმაოდ არიან დამოუკიდებელი მუშაობისათვის მომზადებულნი. მათი უნარიანად გამოყენება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს კინოხელოვნებას.

სრულიად მივიწყებულია კინოდრამატურგთა კადრების მომზადების საქმე. კინოსტუდია და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კადრების განყოფილება სათანადო მონდომებით არ ეკიდებიან კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნას. ხოლო ისინი, რომლებიც იქ სწავლობენ და შემდეგ ქართულ კინემატოგრაფიაში აპირებენ მუშაობას, მზრუნველობას ვერ გრძნობენ.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდიის გარშემო ახალგაზრდა ავტორების შემოკრებას, ერთი ან ორი შემოქმედებითი მარცხი, რაც დამწყებ ავტორს შეიძლება მოუვიდეს, არ შეიძლება ამ ავტორის ნიჭის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცეს.

კინოდრამატურგიის დარგში მომუშავე ახალგაზრდების შერჩევა ფრთხილად, გულდასმით

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

**ნიუ-იორკი,** 26 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია. კამბოჯის წარმომადგენელმა პენ-ნოუტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა ხელი შეუწყონ იმას, რომ ყველა არათვითმმართველმა ხალხმა მოიპოვოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მან აგრეთვე დიდ სახელმწიფოთა ყურადღება მიაქცია მათს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ყველა ხალხის წინაშე განიარაღების საკითხების გადაჭრისათვის.

კამბოჯის დელეგატმა მოითხოვა რაც შეიძლება მალე შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა.

რუმინეთის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იონ გეორგ მაურერმა მხარი დაუჭირა საბჭოთა დეკლარაციის პროექტს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

რუმინეთის დელეგატმა გააკრიტიკა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია განიარაღების საკითხებში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის არც ერთი წინადადება შორეულ მიზნადაც კი არ ისახავს ატომური იარაღის [illegible]

[illegible] რება“ გამოთქვა კვიპროსის მიმართ ინგლისის კოლონიური პოლიტიკის გამო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა უნდა დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი დებულებანი და, კერძოდ, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპები.

**ნიუ-იორკი,** 27 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ბოლივიის, სალვადორისა და სუდანის წარმომადგენლებმა.

ბოლივიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუელ ბარაუ პელაესმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მეტი ყურადღება დაუთმოს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას.

ბოლივიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ნედლეულ საქონელზე ბაჟის გადიდების პოლიტიკა, რომელსაც „ზოგიერთი ინდუსტრიული ქვეყანა“ ახორციელებს, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკაც დამოკიდებულია ერთი-ორი სახეობის ნედლეულის წარმოებაზე. ბოლივიის წარმომადგენელს არ უთქვამს, თუ „რომელი ინდუსტრიული ქვეყნები“ ჰყავს მხედველობაში, მაგრამ [illegible]

ფარული კენჭისყრის შედეგად გენერალურმა ასამბლეამ 80 ხმით (ერთი ბიულეტენი უვარგისი იყო) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად შემდეგი ხუთი წლისათვის აირჩია დაგ ჰამარშელდი (შვეცია).

კენჭისყრის შემდეგ სიტყვა მიეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლად არჩეულ გენერალურ მდივანს. ჰამარშელდმა მადლობა გადაიხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად მეორე ვადით მისი არჩევის გამო და პირობა მისცა ასამბლეას, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს ამ პოსტზე თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

მთელმა რიგმა დელეგატებმა მიულოცეს ჰამარშელდს გენერალურ მდივნად არჩევა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა:

ჩვენ სათანადო გაგებით ვაფასებთ ბ-ნ ჰამარშელდის მიერ გამოვლინებულ ღონისძიებებს მთელ რიგ კითხვებში, რომლებსაც დამოკიდებულება აქვს ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობასთან. ამასთან, ვლაპარაკობთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაზე, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ — მე მგონია, ამას გენერალური მდივანიც დაეთანხმე- [illegible]

## დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კომიტეტის განცხადება

**ლონდონი,** 27 სექტემბერი. (საკდესი). [illegible] კურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს ინგლისის მთავრობის ამასწინანდელ ღონისძიებებს. კონსერვატიულმა მთავრობამ, გამოიყენა რა ახლანდელი ფინანსური სიძნელეები, ნათქვამია განცხადებაში, დააკმაყოფილა მსხვილი კაპიტალისტების სურვილები. მილიონერთა პრესა აშკარად აცხადებს, რომ საბანკო განაღდების განაკვეთის გადიდების, კრედიტის შეზღუდვისა და კაპიტალური მშენებლობის შემცირების შედეგი იქნება მასობრივი უმუშევრობის შექმნა, ე. ი. სწორედ ის, რისთვისაც იბრძოდნენ მსხვილი კაპიტალისტები.

„გირვანქა სტერლინგი, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის ზეგავლენის ობიექტი, აგრეთვე სპეკულაციის საგანი გახ- [illegible] ძილზე ახორციელებდა პოლიტიკას, რომელიც იწვევდა გირვანქა სტერლინგის მყიდველობითი უნარის პირდაპირ და არაპირდაპირ შემცირებას“.

პოლიტიკური კომიტეტი აცხადებს: „საწარმოო მოდუნება ინგლისში უკანასკნელი თვეების მანძილზე აიხსნება არა მუშების ღონისძიებათა შესუსტებით, არამედ უმუშევრობის შექმნით და კრედიტის შეზღუდვის შედეგად არასრული სამუშაო კვირის შემოღებით.

ახლა მთავრობას სურს შექმნას კიდევ უფრო დიდი უმუშევრობა და გამოიწვიოს წარმოების შემდგომი შემცირება, მაშინ როცა ინგლისის ზოგიერთი ძირითადი კონკურენტის ეკონომიკა წინანდებურად ვითარდება“.

განცხადებაში ჩამოყალიბებულია მუშათა კლასის პოლიტიკის ძირითადი დებულებანი, [illegible] კას უნდა ახასიათებდეს: შეიარაღების ხარჯების შემცირება; საბანკო განაღდების განაკვეთის შემცირება; კრედიტის შეზღუდვის გაუქმება და კაპიტალდაბანდებათა გადიდება მრეწველობის ნაციონალიზებულ დარგებში; ხელფასის გადიდება მოგების ხარჯზე; ბინის ქირის კანონის გაუქმება, როგორც პირველი ნაბიჯი ცხოვრების ღირებულების შესამცირებლად; მოხუცებულობის გამო პენსიების დაუყოვნებლივ გადიდება 50 პროცენტით; უფრო ეფექტიანი კონტროლის დაწესება ვალუტისადმი; აქციონერთა ბანკების, მსხვილი სადაზღვევო კომპანიების, აგრეთვე მანქანათმშენებელი და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ნაციონალიზაცია, კონტროლის კვლავ შემოღება სამშენებლო მრეწველობისადმი.

# ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი აღმავლობისათვის

(დასასრული)

უნდა წარმოებდეს. ჩვენ არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი გვყავს. საჭიროა დავუკავშიროთ ისინი კინოსტუდიის პრაქტიკულ ცხოვრებას, დავუახლოოთ გამოცდილ კინოდრამატურგებს, გავავრცელოთ მათზე სპეციალური დადგენილება დამწყები ავტორებისადმი დახმარების მიზნით გარკვეული ოდენობით ჰონორარის წინასწარ მიცემის შესახებ და სხვ. საჭიროა განახლდეს მოსკოვში კინოდრამატურგთა სემინარებზე ახალგაზრდა ქართველ მწერალთა გაგზავნა, რაც უკანასკნელ ხანებში შეწყდა. ყოველივე ეს დაეხმარება კინოდრამატურგთა ახალი კადრების გამოვლინებას.

კინემატოგრაფიის ახალი აღმავლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კინოკრიტიკისა და კინომცოდნეობის განვითარებაზე. ჩვენში კინოკრიტიკა ძალიან სუსტად არის დაყენებული. პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებში არ არის ამა თუ იმ ფილმის ყოველმხრივი ანალიზი, მისი თვითეული ელემენტის განხილვა, შეფასება. როგორც წესი, რეცენზიის უმეტესი ნაწილი ფილმის შინაარსის გადმოცემას უჭირავს, დანარჩენი თითო-ოროლა სიტყვით ავტორის, რეჟისორის, მსახიობების, იშვიათად კომპოზიტორის, ოპერატორის და მხატვრის მუშაობის განხილვას. თითქმის არც ერთ რეცენზიაში გარჩეული არ არის ფილმის ჟანრობრივი თავისებურება, მონტაჟი, ხმისა და მუსიკის ჩაწერის საკითხი. ვერც ერთ წერილში ვერ შეხვდებით ხმის ოპერატორის შემოქმედების ანალიზს.

კინო სინთეზური ხელოვნებაა. მასში თავს იყრის ხელოვნების თითქმის ყოველი დარგი. ამ კომპონენტების სრულყოფა განსაზღვრავს ფილმის როგორც იდეურ, ისე მხატვრულ ღირსებას. ამისათვის ფილმის ანალიზის დროს კრიტიკოსი თანაბარი ძალით უნდა ეხებოდეს მის თვითეულ კომპონენტს.

საბჭოთა კინოკრიტიკა უაღრესად ობიექტური და პრინციპული უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ჩვენი პრესის ფურცლებზე არცთუ იშვიათად იბეჭდება სუბიექტური ხასიათის, პირადი გემოვნებიდან გამომდინარე არაპროფესიული რეცენზიები, რომელთა ავტორები ერთ რომელიმე ფილმს ხელაღებით აკრიტიკებენ, სხვას კი გადაჭარბებულად აქებენ და ადიდებენ. სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ რეცენზიები კინოსურათებზე „ეთერის სიმღერა“, „ბაში-აჩუკი“, „აბეზარა“, „მე ვიტყვი სიმართლეს“.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმ „ეთერის სიმღერას“ უდავოდ ბევრი ნაკლი აქვს როგორც დრამატურგიული, ისე რეჟისორული შესრულების მხრივ, მას აქვს მთელი რიგი დადებითი მხარეები, რომელთა სათანადოდ აღნიშვნა საჭირო იყო პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებში. რაც შეეხება ფილმებს „ბაში-აჩუკს“, „აბეზარას“ და „მე ვიტყვი სიმართლეს“, განა ისინი მოკლებული იყვნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს რეჟისორული ოსტატობის, აქტიორთა შერჩევის, ცალკეული ეპიზოდების მხატვრული და აზრობრივი გადაწყვეტის მხრივ?

არასამართლიან ხოტბას შემოქმედებისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. არანაკლები ზიანი მოაქვს მხატვრული ნაწარმოების დადებითი მხარეების გვერდის ავლასა და მიჩქმალვას, აგრეთვე ამა თუ იმ შემოქმედისადმი პატივისცემით გამოწვეულ ლიბერალურ თავშეკავებასა და დუმილს.

ჩვენს პერიოდულ პრესაში მცირე რაოდენობით იბეჭდება წერილები კინემატოგრაფიის სხვადასხვა საკითხებზე. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ჟურნალებში „დროშასა“ და „საბჭოთა ხელოვნებაში“. მაგრამ მათში გამოქვეყნებული წერილები მხოლოდ რეცენზიებით, ცალკეულ მოღვაწეთა შემოქმედებითი პორტრეტებით შემოიფარგლება, რაც საკმარისი არ არის.

ჩვენს რესპუბლიკაში კინომცოდნეები არც ისე ბევრია, ხოლო ვინც არის, ისიც განზე უდგას ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მათი კვალიფიციური წერილები კი დიდ დახმარებას გაუწევდა ახალგაზრდა კინომცოდნეთა მომზადების, აგრეთვე მაღალხარისხოვანი ფილმების შექმნის საქმეს.

კინომცოდნეთა მომზადების საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია აგრეთვე კინოსტუდიასთან არსებულ მუზეუმს, იქ მეცნიერული მუშაობა სათანადო დონეზე რომ იდგეს. ამჟამად კი იგი უფრო ფოტოგამოფენის კუთხეა სამკითხველოსთან შეთავსებული, ვიდრე სამეცნიერო დაწესებულება. საჭიროა კინომუზეუმი გადავაქციოთ კინემატოგრაფიის დარგში მეცნიერული მუშაობის კერად. ამისათვის მას სათანადო პირობები უნდა შევუქმნათ.

ქართული კინემატოგრაფიის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის გაშლილ ბრძოლაში დიდი როლის შესრულება შეუძლია კინოსტუდიის შემოქმედებითს სექციას. ერთგვარი გამოცოცხლების მიუხედავად ამ სექციის მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. იგი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ეხმარება კინოსტუდიას საწარმოო გეგმების ვადაზე შესრულებაში. თითქმის ყველა ფილმი დაგვიანებით გამოდის. სექციას არც ერთხელ არ განუხილავს სტუდიაში შრომის დისციპლინის საკითხი, სათანადოდ არ იბრძვის კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის, სტუდიის სხვადასხვა საამქროსთან და გადამღებ ჯგუფთან კავშირის განმტკიცებისათვის, პასიურობას იჩენს კადრების დაწინაურების საქმეში.

სექცია იშვიათად აწყობს წარმოებაში გადასაცემი სცენარების კითხვას. მაგალითად, არ წაკითხულა „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ჩრდილი გზაზე“, „ბაში-აჩუკი“, „აბეზარა“, „ქალის ტვირთი“, „მე ვიტყვი სიმართლეს“ და სხვ. სექციას არ განუხილავს გადაღებული მასალა ფილმებისა „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ეთერის სიმღერა“, „ჩრდილი გზაზე“, „აბეზარა“, „ორი მსახიობი“, „ქალის ტვირთი“, „დედინაცვალი“ და სხვ. სექციის მიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული ქრონიკა, დუბლაჟი და ტექნიკური ფილმები. მან მეტად შესუსტა კავშირი მწერალთა აქტივთან, კინოკომისიასთან, არ აწყობს ლექციებსა და მოხსენებებს კინოხელოვნების აქტუალურ საკითხებზე. საჭიროა ზრუნვა კინოსტუდიის შემოქმედებითი სექციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კინოსტუდიის მუშაობის გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს სამხატვრო საბჭო. სამხატვრო საბჭოს თვითეულ წევრს მეტად პასუხსაგები მოვალეობა აკისრია: სცენარების წაკითხვა, მასალის შემოწმება, გადაღებული მასალის გასინჯვა, დამთავრებული ფილმის განხილვა და სხვ. სამხატვრო საბჭო თვითეული წევრისაგან აქტიურ მუშაობასა და საქმისადმი სიყვარულს მოითხოვს. სამწუხაროდ, საბჭოს ყველა წევრი როდი დგას მოწოდების სიმაღლეზე, ზოგიერთი მათგანი არ ესწრება სხდომებს ან, თუ ესწრება, არ მონაწილეობს საკითხების განხილვაში, არ გამოსთქვამს თავის შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე და სხვ. სამხატვრო საბჭოს ყველა პირობა აქვს მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მხოლოდ საჭიროა კინოსტუდიის ადმინისტრაციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ ყურადღების ცენტრში დააყენონ მისი მუშაობა.

რესპუბლიკების კინოსტუდიებს მათი მუშაობის გააქტივების მიზნით საკითხების დამოუკიდებელი გადაწყვეტის დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. სცენარების მიღება, ფილმების წარმოებისათვის გადაცემა, შესაფერი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და სხვა შემოქმედებითი და საწარმოო პროცესები, რომელთა განხორციელებას წინათ მთელი რიგი ვიწრო უწყებრივი ბარიერები აბრკოლებდა, ახლა უშუალოდ ადგილზე წყდება. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობამ კარგად უნდა გამოიყენოს ეს ხელსაყრელი პირობები და სტუდიის შემოქმედებით კოლექტივთან მჭიდრო კავშირში იბრძოლოს ახალი წარმატებებისათვის, ახალი მაღალხარისხოვანი ფილმების შექმნისათვის, ქართული კინემატოგრაფიის შემდგომი აღმავლობისათვის.

# ქალაქი-კურორტი



წლის ყველა დროს წარმტაცია გაგრა — შავიზღვისპირეთის ეს შესანიშნავი კურორტი-ქალაქი. ზღაპრული ბუნება, მზე, ზღვა და მისი მრავალფეროვანი სამკურნალო ფაქტორები ათასობით დამსვენებლებს იზიდავს ყოველწლიურად ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან.

გაგრა საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერაა. აქ შექმნილია ყველა პირობა მშრომელთა კულტურული დასვენებისა და ეფექტიანი მკურნალობისათვის. ამჟამად კურორტში ოცდაშვიდი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი მუშაობს.

ვისაც გაგრა მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ უნახავს, იგი ახლა ვერც კი იცნობს მას.

— გაგრაში პირველად ათი წლის წინათ ვიყავი, — ამბობს მესაზღვრე სერგი მორიაკოვი, — მაგრამ ამ ხნის განმავლობაში აქ იმდენი ცვლილება მომხდარა, რომ ქალაქი ვერ ვიცანი. ამჟამად თითქმის ათ კილომეტრს აღწევს ქალაქი-კურორტის მთავარი მაგისტრალი — სტალინის სახელობის პროსპექტი.

ბევრი რამ სიახლე იგრძნობა მიმდინარე წელს ჯანმრთელობის კერების ერთიან სისტემაში გაერთიანების შედეგად. კურორტზე საწოლთა რაოდენობა საგრძნობლად გადიდდა. წარმატებით ინერგება ჩვენი ქვეყნის მოწინავე ჯანმრთელობის კერების მუშაობის გამოცდილება.

უკანასკნელ წლებში კურორტს შეემატა ახალი კეთილმოწყობილი სანატორიუმები: „სომხეთი“, „ნეფტიანიკი“, „გაგრა“, „პოგრანიჩნიკი“ და ჯანმრთელობის სხვა მძლავრი კერები. დიდი მუშაობა იქნა გაწეული ქალაქის კეთილმოწყობისათვის. მოასფალტებულია ბევრი ქუჩა და ტროტუარი, დაიდგა ლამპიონები, მოეწყო შადრევნები, აუზები, გაზონები, დაირგო ათასობით ხე და დეკორაციული მცენარე, შეძენილ იქნა ერთ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების რბილი ავეჯი, გაიხსნა სამი რესტორანი, სასადილოები, სასაუზმეები, გამაგრილებელი წყლებისა და ნაყინის კიოსკები. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ქალაქის კანალიზაციის ქსელი.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა სანატორიუმებში დამსვენებელთა კვება და კვების პროდუქტებით ქალაქის მშრომელთა მომარაგება. მედიცინის მუშაკები ენერგიას არ იშურებენ გაგრის სამკურნალო ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენებისა და დამსვენებელთა ეფექტიანი მკურნალობისათვის.

არასოდეს არ ახსოვს გაგრას იმდენი დამსვენებელი, რამდენიც წელს არის. სტუმრები ჩამოდიან თავიანთი ოჯახებით.

სისხლსავსე, ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობს ქალაქი-კურორტი. უახლოეს წლებში უფრო დამშვენებულს იხილავენ მას მომავალი დამსვენებლები.

**ა. შარვანიძე.**



სურათებზე: ახალგაზრდა მხატვრები ტყეპარკში (ზევით); სანატორიუმ „უკრაინის“ საერთო ხედი.

## გავეცანით ქართულ ხელოვნებას

მრავალი [illegible] თბილისს [illegible] ქალაქ — მურმანსკს, მაგრამ [illegible] შემოქმედებითი კოლექტივი, რომლის ხელმძღვანელია გ. გაბესკირია.

მაყურებლებით გაჭედილ დარბაზში, რომელმაც ვერ დაიტია დასწრების ყველა მსურველი, სინათლე ქრება. სცენის მუქი, ალუბლისფერი ხავერდის ფონზე აინთო ყვითელი ნათურა, რომელიც დიდი დოლის შიგნით იყო მოთავსებული. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ გაისმა მხიარული, მხნე და ლამაზი მელოდია.

კონცერტის რეპერტუარი მეტად კოლორიტული და მრავალფეროვანი იყო — ქართული სწრაფი ცეკვები, ქართული, მექსიკური, ფრანგული ლირიკული სიმღერები, ორკესტრის ცალკეული ინსტრუმენტის სოლო და სხვ. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ქართულმა ლირიკულმა სიმღერებმა, ხოლო ცეკვებმა „ფანტაზიამ“, „ნაბადურმა“ და „ქართულმა“ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი.

მოძმე საქართველოს მსახიობთა კონცერტებმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა. ს. მ. კიროვის სახელობის კულტურის სახლის მთავარ შესასვლელთან ვერ გაივლიდით, რომ ვინმეს არ ეკითხა — „შემთხვევით ერთი ბილეთი ხომ არ გექნებათ?“. სამწუხაროდ, ქართველი ხელოვნების მუშაკები იშვიათად ჩამოდიან მურმანსკში.

მზიური რესპუბლიკის შვილების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი სიამოვნება აგრძნობინეს იმათ, ვინც იმიერპოლარეთის ცის ქვეშ ცხოვრობს. მათ გულწრფელი, მეგობრული ტაში დაიმსახურეს.

ფლოტის მიჩმანი **ი. კასტენი.**

ქ. მურმანსკი.

სასამართლო დარბაზიდან

## მკვლელს — დახვრეტა

მამის მზრუნველობას მოკლებულ 9 წლის გოგონას ტატიანა კოდოევას თითქოს „მშობლიური სიყვარულით“ ზრდიდა მამინაცვალი ფირუზა სამაშვილი.

გავიდა წლები... ტატიანა წამოიზარდა, იგი მეექვსე კლასის ხუთოსანი მოსწავლეა. მამინაცვალმა ხასიათი შეიცვალა ტატიანასადმი, უცნაური ზრახვები უტრიალებდა თავში, ტატიანას დედამ უღირს მეუღლეს მალე გაუგო ბოროტი განზრახვები, მამინაცვლის არაადამიანურ დამოკიდებულებას ტატიანაც გრძნობდა. ფირუზას ეს ოინები კარგად იცოდნენ აგრეთვე მეზობლებმა, რომლებთანაც ტრაბახობდა კიდეც, რომ იგი გერს — ტატიანა კოდოევას ზრდიდა არა სხვისთვის, არამედ თავისთვის.

ადამიანურ გრძნობებს მოკლებულმა ფ. სამაშვილმა 1956 წლის 20 დეკემბერს მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებლად ტატიანა დაიმარტოხელა, მოიმიზეზა რა გაბრაზება, სასიკვდილოდ სცემა გოგონას და დაახრჩო იგი.

ბოროტმოქმედის საქმე განიხილა საჯარო სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ი. გოგაშვილის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ ფირუზა ნიკოლოზის-ძე სამაშვილს მიუსაჯა დახვრეტა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

**ლ. ლომიძე.**

## ლექცია

30 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) გაიმართება ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლექტორების სემინარი. მოსმენილ იქნება პროფ. ე. ბურჭულაძის ლექცია „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა“.

## ახალი მარკის ღვინოები „ახმეტურა“ და „ახაშენი“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მშრომელები მიიღებენ ახალი მარკის ნახევრადტკბილ ნატურალურ ღვინოებს „ახმეტურას“, რომელიც დამზადდება ახმეტის რაიონში გავრცელებული ჯიშის „მწვანის“ ყურძნისაგან, და „ახაშენს“, რომელიც დამზადდება „საფერავისაგან“. „ახმეტურა“ და „ახაშენი“ მაღალხარისხოვანი ღვინოებია, გამოირჩევიან გემოთი, არომატით, ფერით. „ახაშენმა“ ღვინოების საერთაშორისო დეგუსტაციაზე, რომელიც წელს იუგოსლავიაში მოეწყო, ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ახალი მარკის ღვინოების ავტორია მეღვინე ა. ბერუჩაშვილი.

წელს 15.000 დეკალიტრ „ახაშენს“ გამოუშვებს მუკუზნის ღვინის ქარხანა, ხოლო 12.000 დეკალიტრ „ახმეტურას“ — ქისტაურის ღვინის ქარხანა.

რედაქტორის მოადგილე **რ. ქურციკიძე.**

## დ ღ ე ს

### თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — გედების ტბა (დილას), კარმენი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — გურიის მთები დაუთოვია (დილას), ჩვენებურები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ესკადრის დაღუპვა, **გრიბოედოვის სახელობის** — სამუდამო სიყვარული (დილას), დაგვიანებული სიყვარული (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი (დილას), დინარა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გიქორი (აბონემენტი № 40, 12 ს.), რობინ ჰუდი (აბონემენტი № 32, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რბილი ხასიათი (11 ს. და 2 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — კონკია (4 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, ფილარმონიის ბაღი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — დონ სეზარ დე ბაზანი, **ამირანი** (საზამთრო) — ცირკის მსახიობი, **ამირანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი) — განთიადი მდინარეზე, **ისანი** (საზამთრო) — ის თუ არა, ეს, **ისანი** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — გუტაფისის ბიჭი, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის პარკები** — ისინი ერთმანეთს გზაში შეხვდნენ, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — არსენა, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ჩემი საწყალი, საყვარელი დედა, **კოლხიდა** (საზამთრო), **კოლმეურნე, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — გაუჩოს ომი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ხანკა, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ვენეციის ღამე, **ოფიცერთა სახლი** — ორნი ერთი უბნიდან, **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, დიდუბე** (საზამთრო) — სიყვარული და ცრემლები, **დიდუბე** (საზაფხულო) — ყოჩაღ, ანიტა, **ყაზბეგი** — მოხუცი ხოტაბიჩი, **კომუნარების ბაღი** — ბატონი 420 (I და II სერია).

**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია**

საზაფხულო თეატრი

(პლეხანოვის პროსპ. № 123)

კვირას, 29 სექტემბერს

**საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლი**

რესპუბლიკის სახალხო არტისტების სტალინური პრემიის ლაურეატების

**ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის**

მხატვრული ხელმძღვანელობით

ორშაბათს, 30 სექტემბერს

ლენინგრადის სახელმწიფო ესტრადის მსახიობების რსფსრ დამსახურებული არტისტების

**პ. მორავსკის**

(მუსიკალური ფელეტონები, სატირა, იუმორი) და

**ბ. გეფტის** (დრამატული ტენორი)

გამოსამშვიდობებელი კონცერტი

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

## ტელეგადაცემათა პროგრამა 29 სექტემბრისათვის

**დ ღ ი ს**

15.00 — საშუალო ასაკის ბავშვებისათვის გადაცემა ციკლიდან „მინდა ყველაფერი ვიცოდე“, 15.20 — ახალი მხატვრული ფილმი — „გუტაფისის ბიჭი“, 16.40 — ყველაზე პატარებისათვის გადაცემა „ბაბუა თევდორეს ზღაპრები“, 17.00 — მომავალი კვირის საბავშვო გადაცემათა პროგრამა.

**ს ა ღ ა მ ო ს**

19.30 — საესტრადო კონცერტი მორავსკისა და გეფტის მონაწილეობით, 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენი ახალგაზრდობა“, 21.00 — საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტის პირველი განყოფილების ტრანსლაცია ფილარმონიის საზაფხულო თეატრიდან, 21.50 — მხატვრული ფილმი „არსენა“.


მოქალაქე **გიორგი ალექსის-ძე ლონდარიძემ,** მცხოვრებმა ახტალის ქ. № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზინა ვასილის ასულ ნამორაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის ქარხნის მეტალურგთა კულტურის სასახლის თანამშრომლები იუწყებიან სასახლის თანამშრომლის

**შალვა აპოლონის-ძე ხუსკივაძის**

გარდაცვალებას.

თბილისის I სახელმწიფო სანოტარო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან

**გერმანე ვასილის-ძე გიორგაძის (შუბიძის)**

გარდაცვალებას.

დედა დესპინე, შვილი ლამარა, ძმები გრიგოლ, დავით, კონდრატე, დები თამარ, ზინა, რძლები ვერა, ქსენია, ლუბა, სიძე პ. ჩიტაია ოჯახებით იუწყებიან

**კაპიტონ თადას-ძე გოროზიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IX დაბა ჩაქვში.

მეუღლე ნადია მეტრეველი, დედა თებრონე, შვილები ზაირა, ლეო, გიორგი, და ნატა ოჯახით იუწყებიან ინჟინერ-გეოლოგის

**დავით მიხეილის-ძე სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 29-IX, 4 ს. ენგელსის ქ. № 66.

მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან

**იაკობ ნიკოლოზის-ძე ფრუიძის**

გარდაცვალებას.

შვილები სონია, ფაცია, მარიამ, რძალი ვენერა ოჯახებით იუწყებიან

**მინა ელიზბარის ასულ კილასონიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-X, სოფ. ჩაისუბანში (ჩოხატაურის რ.).

შვილები ეკატერინე, სირან, არუსიაკ, სტეფანე აკოფოვები იუწყებიან

**ალექსანდრა ნიკოლოზის ასულ აკოფოვას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-X, 5 ს. თელავში, გამოსვენება 1905 წლის ქ. № 22.


უე 04035 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.